

140  
1947 / 2.

30000000  
2000000000



№ 11

3. 0. 8. 9. 6. 0




# პ. ი. თ. ნ. ე. რ. ი

საბავშვო ალკა ცენტრალური კომიტეტის  
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი



ПИОНЕРИ


Ежемесячный детский журнал  
Центрального Комитета  
ЛКСМ Грузии

(на грузинском языке)



უბანდარული კრეისერი „აეროზა“, რომელმაც თავისი ქვეყნების გასროლით გვამცნა 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დაწყება.





# საყვირო პიონერისა


ფრიალ-ფრიალა დროშებზე  
ვარსკვლავი ოქროსფერია,  
საით მიდიხართ დროშებო,  
ია და ვარდი გფენიათ!  
ოცდაათი მზე ამოდის —  
რა დიდი ოქტომბერია!  
მედოლევე, დოღზე დაჰკარი, —  
კისერიც მოგიღერია...  
სიმღერა სირდარიელის,  
ვოლგელის, რიონელისა,  
ხარირემივით გასძახე,  
საყვირო პიონერისა!

მზეში ხელი სჩანს გაწვდილი, —  
მამა-ლენინის ხელია,  
სტალინის სამადლობელი  
ყველა ღიმილში სწერია.  
სუყველა დედაქალაქში  
კრემლისკენ მიიმღერიან.  
მედოლევე, დოღზე დაჰკარი, —  
კისერიც მოგიღერია...  
სიმღერა სირდარიელის,  
ვოლგელის, რიონელისა,  
ხარირემივით გასძახე,  
საყვირო პიონერისა!

4345

...რა დიდი ოქტომბერია,  
ია და ვარდი ჰფენია;  
ოცდაათი მზის სიმღერას,  
ძღვეის სიმღერას მღერიან.  
მედოლევე, დოღზე დაჰკარი, —  
კისერიც მოგიღერია...  
დაჰკარი, ასი არწივი  
აფრინდეს მთის და ველისა —  
სირდარიელის, დონელის,  
ვოლგელის, რიონელისა...  
ჰეი, შეპყვივლე არწივებს  
საყვირო პიონერისა!

მკრმან ლებანიძე





# როგორ მუხადებოდა და გაიმხარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შედეგად რუსეთში დაემხო მეფის თვითმპყრობელური მთავრობა და დაამყარდა ორხელისუფლებრიანი მთავრობა. ერთი მხრივ, ბურჟუაზიის დიქტატურა დროებითი მთავრობის სახით, მეორე მხრივ, პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახით.

დროებითი მთავრობა გამოხატავდა კაპიტალისტთა და მემამულეთა კლასის ინტერესებს და მოქმედებდა მუშების, გლეხების და ჯარისკაცების სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ. იგი დაკავშირებული იყო ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებთან, რომლებიც იმპერიალისტურ ომს განაგრძობდნენ და სრულიად არ ფიქრობდა ჩამოეგდო ზავი, მიეცა ხალხისათვის ზავი, მიწა და პური.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შეეძლო ხალხის საყვილდღეოდ ეხრუნა, თუ კი მოისურვებდა, რადგან ფაქტურად ძალაუფლება რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებში მის ხელში იყო. იგი ეყრდნობოდა ხალხის უმრავლესობას, შეიარაღებულ მუშებსა და ჯარისკაცებს. მაგრამ რადგან პირველ ხანებში უმრავლესობას საბჭოებში მშრომელი ხალხის მოვალეებუ პარტიები — ესერები და მენშევიკები შეადგენდნენ, რომლებიც დროებით მთავრობასთან შეთანხმების პოლიტიკას ახორციელებდნენ, ისინი უძლური აღმოჩნდნენ მშრომელი ხალხის ინტერესების შესაბამისად გადაეჭრათ ქვეყნის საპირბოროტო საკითხები.

რუსეთში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა იმის განსაზღვრას, თუ როგორ ემოქმედნა ბოლშევიკურ პარტიას, როგორ ემოქმედნათ ბოლშევიკებს, რომლებიც უმცირესობას შეადგენდნენ საბჭოებში. „იგრძნობოდა პარტიის ბეგლადის — ლენინის რუსეთში არყოფნა. 1917 წლის 3 (16 აპრილს), ხანგრძლივი განდევნილობის შემდეგ, რუსეთში დაბრუნდა ლენინი.

ლენინის ჩამოსვლის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისათვის, რევოლუციისათვის“ (სტალინი).

რუსეთში ჩამოსვლისთანავე დიდმა ლენინმა მთელი ენერჯით ვააჩადა რევოლუციური მუშაობა.


თავის განთქმულ აპრილის თეზისებში ლენინი ამაყარავებდა დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას და პარტიას და პროლეტარიატს მიუთითებდა სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობაზე. ლენინი სწერდა: „რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება მდგომარეობს რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლაში, პირველმა ეტაპმა, პროლეტარიატის ნაჯლები შეგნებულობისა და შეუკავშირებლობის მეოხებით, ძალაუფლება ბურჟუაზიის არგუთა; მეორე ეტაპმა ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარობებს ფენებს“.

ვ. ი. ლენინი სასტიკად ილაშქრებდა ესერებისა და მენშევიკების შემთანხმებულური პოლიტიკის, დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერის პოლიტიკის წინააღმდეგ და გადაჭრით იცავდა დროებითი მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების პოლიტიკას.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის უმწინურ იდეას თანმიმდევრობით იცავდა ამაზნავი სტალინი თავის სტატიებსა და ნაშრომებში და გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში ესერებსა შემთანხმებულური პარტიების — ესერებისა და მენშევიკების პოლიტიკას.

ამანავი სტალინი სწერდა: „ლაპარაკობენ დროებითი მთავრობისადმი ნდობაზე, ასეთი ნდობის აუცილებლობაზე. მაგრამ როგორ შეიძლება ენდობოდე მთავრობას, რომელიც თვითონ არ ენდობა ხალხს ყველაზე მნიშვნელოვანსა და ძირითადში? ახლა ომია... ვანა ცხადი არ არის, რომ დროებითი მთავრობა უმაღლეს ხალხს ომის ნამდვილ მიზნებს და, ამ მიზნებს რომ მაღავს, არამც და არამც არ ენდობა ხალხს? როგორ შეუძლიათ მუშებსა და გლეხებს ენდობოდნენ დროებით მთავრობას, რომელიც თვითონ არ ენდობა მათ ყველაზე მნიშვნელოვანსა და ძირითადში?“

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმისათვის უღარესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების ფართო მასების საკუთარი გამოცდილებით დარწმუნებას ბოლშევიკების შეხედულებათა სისწორების. მოვლენათა მსვლელობა და დროებითი მთავრობის მოქმედება ცხადყოფდა ბოლშევიკების ხაზის სისწორეს, რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა უკმაყოფილება დროებითი



მ. ი. ლენინი მუშათა და ჯარისკაცთა დემონსტრაციის საბჭოების პირველ ყრილობაზე 1917 წლის ივნისში.  
მხატვარი პ. პასნილიძე

მთავრობისადმი. მასები სულ უფრო გადადიოდნენ ბოლშევიკების მხარეზე. ბოლშევიკების ახსნა-განმარტებითი მუშაობა ხელსაყრელ ნიადაგს პოულობდა.

მასების ბოლშევიზაციის პროცესი განსაკუთრებით დააჩქარა ივლისის ამბებმა. 1917 წლის 3 (16) ივლისს პეტროგრადში იფეთქა დროებითი მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციამ. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას და ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლას. მაგრამ ესერებმა და მეწვევიებმა, რომლებიც ჯერ კიდევ უმრავლესობას შეადგენდნენ საბჭოებში, უარი განაცხადეს ძალაუფლების აღებაზე. დროებითმა მთავრობამ ესერებისა და მეწვევიების ხელის შეწყობით დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენა რეპრესიული ძალები და პეტროგრადის ქუჩები მუშებისა და ჯარისკაცების სისხლით მოარწყოა.

ივლისის დემონსტრაციის ჩახშობის შემდეგ თეთრგვარდიელ გენერლებთან შეკავშირებულმა ესერებმა და მეწვევიებმა მთელი ძალით შეუტრის ბოლშევიკურ პარტიას. დარბეულ და დახურულ იქნა ბოლშევიკური გაზეთები. გამოიცა ბრძანება ბოლშევიკურ პარტიის ბელადის ვ. ი. ლენინის დაპატიმრების შესახებ.

ივლისის ამბების შემდეგ დამთავრდა ორკულისუფლებიანობა. მთელი ძალაუფლება გადავიდა დროებითი მთავრობის ხელში, საბჭოები კი ამ მთავრობის უბრალო დამატებად გადაიქცნენ. ბოლშევიკურმა პარტიამ თავისი ბელადი ლენინი დამალა და დაიწყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. ივლისის ამბებამდე ლენინი და ბოლშევიკები შესაძლებლად სთვლიდნენ რევოლუციის მშვიდობიანი გზით განვითარებას. ბოლშევიკები ფიქრობდნენ ახსნაგანმარტებითი მუშაობის გზით უმრავლესობის მიმხრობას საბჭოებში და საბჭოების საშუალებით მთავრობის შემადგენლობისა და პოლიტიკის შეცვლას. მაგრამ ივლისის ამბების შემდეგ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა გაქრა და ამიტომ ბოლშევიკებმა ლენინისა და ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გააჩაღეს აგიტაცია-პროპაგანდა მასებში შეიარაღებული აჯანყების გზით დროებითი მთავრობის დაშლის შესახებ.

შექმნილი ვითარების დრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა გენიალურად განჭვრიტა რევოლუციის გამარჯვების აუცილებლობა რუსეთში და იწინასწარმეტყველა:

„კიდევ იქნება ბრძოლები!  
კიდევ იქნება გამარჯვებანი!

მთელი საქმე ის არის, რომ ღირსეულად და ორგანიზებულად შევხედეთ მომავალ ბრძოლებს...“

1917 წლის 26 ივლისს პეტროგრადში მოწვეულ იქნა ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობა, რომელსაც უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა ამხანაგი სტალინი.

ყრილობის ძირითადი საკითხები იყო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში და პოლიტიკური მდგომარეობა. ორივე საკითხის გარშემო მოხსენება გაკეთდა ამხანაგმა სტალინმა. ამხანაგმა სტალინმა შესტელ განსაზღვრა პარტიის ძირითადი ამოცანები ახალი ვითარების შესაბამისად. მიუხედავად ბურჟუაზიის ყველა ცდისა—ჩაასწოს რევოლუცია, რევოლუცია მინც იზრდება და ვითარდება, იგი თავისი ხასიათით სოციალისტური ხდება, ამბობდა ამხანაგი სტალინი. პარტიის VI ყრილობაზე აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ასახადნენ ბურჟუაზიულ გავლენა და გადაჭრით ილაშქრებდნენ სოციალისტური რევოლუციისაკენ აღებული გზის წინააღმდეგ. ტროცკისტი პრეობრაჟენსკი უარყოფდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობას და აქტიცებდა, რომ სოციალისტური რევოლუცია ჯერ უნდა დაიწყოს დასავლეთში და არა რუსეთში. პრეობრაჟენსკის ოპორტუნისტულ შეხედულებას გამანადგურებელი განსვარი ჩასცა ამხანაგმა სტალინმა და ლახსაკუთრებულ სიტყვებით აღნიშნა: „გამორიხული არ არის შესაძლებლობა, რომ სახელდობრ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა... საქონი უკუვადნოთ დრობოქმული წარმოღობა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია გვიჩვენოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ვდგავარ უკანასკნლის ნიადგზე“.

პარტიის VI ყრილობამ დაპეო პრეობრაჟენსკის შეხედულება და გეპო აილო შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. ყრილობამ ერთსულვნად მოიწონა ლენინურ-სტალინური დებულება: პროლეტარიატისა და უფარობესი გლეხობის კავშირი, როგორც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მთავარი პირობა.

დროებითი მთავრობა გრძნობდა, რომ ბოლშევიკები მასვე აჯანყებისათვის ამზადებდნენ; რევოლუციის განადგურებისა და რევოლუციური განწყობილების ჩასშობის მიზნით მან 1917 წლის 25 აგვისტოს მოაწყო გენერალ კორნილოვის შეთქმულება. კორნილოვმა რევოლუციური პეტროგრადის წინააღმდეგ გამოიყვანა ცხენოსანი კორპუსი. კორნილოვის შეთქმულებას საპასუხოდ ბოლშე-

ვიკებმა მასვე გასწეეს აგიტაცია-პროპაგანდა. აგიტატორები გაგზავნეს აგრეთვე კორნილოვის ჯარის ნაწილებში და მარტა მათ, თუ რა მიზანს ისახავდა კორნილოვის შეთქმულება. ბოლშევიკების აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო. „ველურმა დივიზიამ“, რომელზეც დიდ იმებს ამყარებდა კორნილოვი, უფრო ანაცხდა პეტროგრადის წინააღმდეგ შეთქმუება. ბოლშევიკების მოწოდების საფუძველზე მუშებმა სწრაფად იწყეს შეიარაღება და წინააღმდეგობის გასაწევად მზადება. წითელგვარდიელთა რაზმები სთხროდნენ სანერგე და აწყობდნენ მათულხლართებს. ბოლშევიკების მტკიცე ღონისძიებათა შედეგად კორნილოვის ჯარი განადგურებული იქნა.

ამ გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკების გავლენა საბჭოებში არაჩვეულებრივად გაიზარდა. დაიწყო საბჭოების ბოლშევიზაცია. კორნილოვის კონტრრევოლუციური ძალების განადგურების მეორე დღეს 31 აგვისტოს პეტროგრადის საბჭო მიემხრო ბოლშევიკების პოლიტიკას.

1917 წლის 5 სექტემბერს მოსკოვის საბჭო ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა. მკვეთრად იცვლებოდა ყველგან საბჭოების შემადგენლობა ბოლშევიკების სასარგებლოდ. ფაბრიკები, ქარხნები და სამხედრო ნაწილები, მეწვევიკებისა და ესერების ნაცვლად, საბჭოებში გზავნიდნენ ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლებს. მშრომელი გლეხობის ფართო მასებაც მჭიდროდ იწყეს დარაზმვა ბოლშევიკების ირგვლივ. მოწმიფდა პირობები სოციალისტური რევოლუციისათვის.

1917 წლის 10 (23) ოქტომბერს მოწვეულ იქნა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული სხდომა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ.

დროებითი მთავრობის დასამხობად შეიარაღებული აჯანყების დაწყების წინააღმდეგ გაილაშქრეს საბჭოთა ხალხის მტრებმა ზინოვიევმა და კამენევმა. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილებზე დაგზავნა რწმუნებულები შეიარაღებული აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

16 ოქტომბერს შესდგა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელზეც არჩეულ იქნა პარტიული ცენტრი ამხანაგ სტალინის მეთაურობით აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. ცენტრალური კომიტეტის ამ სხდომაზეც ზინოვიევმა და კამენევმა ბოლშევიკურს აჯანყების წინააღმდეგ. მათ, გოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის





ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და ვ. მ. მოლოტოვი გახუთ „ტრაბა“ რედაქციაში 1917 წელს.  
მხატვარი პ. მასლინიძე

ახლომანუ მიღებული დადგენილება, რომელიც საიდუმლოდ უნდა დაეცვათ პარტიის წევრებს, გაუქმდნენ დროებით მთავრობას, მუსათა კლასის მტრებს.

18 ოქტომბერს საბჭოთა ხალხის მტრებმა ზინოვიევი და კამენევი მენშევიკურ გახუთ „ნოვია ციხნში“ გამოაქვეყნეს განცხადება, ბოლშევიკები აჯანყებას ამზადებენო.

ბოლშევიკებს აჯანყების დაწყება 25 ოქტომბრისათვის ახალი სტილით 7 ნოემბრისათვის ჰქონდათ გამიზნული. მაგრამ რადგან რევოლუციის გამცემებმა, ზინოვიევი და კამენევი, დროებით მთავრობას გაუძმხილეს ბოლშევიკების განზრახვა, რევოლუციის მტრები მყისვე შეუდგნენ ზომების მიღებას, რომ გაენადგურებინათ აჯანყება.

ლენინი სასტიკად ჰკიცხავდა ოქტომბრის რევოლუციის მოლაპარტეებს ზინოვიესა და კამენევის და პარტიას უჩრეველად დაეწყო აჯანყება დანიშნულ ვადაზე ადრე — 24 ოქტომბერს. ლენინი 1917 წლის 24 ოქტომბერს სწერდა: „... ამჟამად ყველაფერი ბეწაზე კიდია... საჭიროა, რაღაც უნდა დაგვიჯდეს, ღღესე, საღამოს, ამაღამე დავაპატიმროთ მთავრობა, იარაღი ავყაროთ (გავენადგუროთ თუ წინამდებეობა გავციწივს) იუნკრებს და სხვ.

შეუძლებელია დაყოვნება!! შეიძლება ყველაფერი დაეკარგოთ!! ისტორია არ აპატიებს დაყოვნებას რევოლუციონერებს, რომელთაც შეეძლოთ გაემარჯვნათ ღღეს (და შეეძლებოდა გაიმარჯვებენ ღღეს) და შეიძლება ბევრი დაჰკარგონ ხვალ, შეიძლება დაჰკარგონ ხვალ ყველაფერი“.

დროებითა მთავრობამ თავისი რეაქციული ძალები გამოიყვანა 1917 წლის 24 ოქტომბერს დილით. ჯაფნინი ავტომობილები გაიგზავნა ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური ორგანოს „რაბოჩი პუტის“ რედაქციის დასარბეველად, მაგრამ დღის 10 საათისათვის იმხანაგ სტალინის მითითების საფუძველზე წითელგვარდიელებმა და რევოლუციურმა ჯარისკაცებმა აიძულეს ჯაფნინი ავტომობილები უკან დაეხიათ, ხოლო 11 საათისათვის გამოვიდა გახუთი „რაბოჩი პუტი“. გახუთი მოუწოდებდა მშრომლებს დაემხით დროებითი მთავრობა.

ლენინ-სტალინის მოწოდებათა და მითითებათა საფუძველზე 1917 წლის 24 ოქტომბერს დაიწყო აჯანყება.

„24 ოქტომბერს ღამით სმოლნში მივიდა ლენინი, რომელმაც უშუალოდ აიღო ხელში აჯანყების ხელმძღვანელობა... კრესტურმა „ავორამ“ ზამთრის სასახლისაყენ მიმარა

თული ზარბაზნების ქუხილით 25 ოქტომბერს ქვეყანას ამცნო, რომ დაიწყო ახალი ერა — დიდი სოციალისტური რევოლუციის ერა.

25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) გამოქვეყნდა ბოლშევიკების მიმართვა „რუსეთის მოქალაქეებისადმი“. ამ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა ჩამოგდებულია, რომ სახელმწიფო ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდა“. (ი. ბ. სტალინი. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. გვ. 252-253).

ამრიგად, ლენინ-სტალინის პარტიამ მშრომელი მასები მიიყვანა რევოლუციასთან და უზრუნველყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება რუსეთში.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ წარმოების სამუალებანი და იარაღი ჩამოართვა მემამულეებსა და კაპიტალისტებს და გადააქცია საზოგადოებრივ საკუთრებად, ბურჟუაზიულ საკუთრებას დაუპრისპირა სოციალისტური საკუთრება.


ოქტომბრის რევოლუცია, როგორც ამხა-

ნაი სტალინი გვასწავლის, არ არის მხოლოდ რევოლუცია „ნაციონალურ ჩარჩოებში“. იგი, უწინარეს ყოვლისა, არის სოციალისტური რევოლუცია. „ახლა უკვე აღარ შეიძლება მსოფლიოს მშრომელთა მასების შეფასება როგორც „ბრმა ბრბოსი“, რომელიც ხეტილოვს წყვილაღმი და მოკლებულია პერსპექტივებს, ვინაიდან ოქტომბრის რევოლუციამ მათთვის შექმნა მუქურა, რომელიც უნათებს მათ გზას და უსახავს პერსპექტივებს“.

განვიხილო 30 წლის მანძილზე ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში, გაიმარჯვა სოციალისტურმა წყობილებამ, რომელმაც გაუძლია ყოველგვარ განსაცდელს და დაამტკიცა თავისი ძლიერება.

ბოლშევიკური პარტიისა და მისი გამოცდილი ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მიღის წინ — კომუნისტების გზით.

დოცენტი ილია მელქაძე



ი. პრივაპილი

ს ი მ დ ე რ ა მ ე ო მ რ ი ს ა

გადმოლახეს ჩვენი მიჯნა ქურდულად და თავხედურად, ჩვენც დავუხვდით, ვით წესია, უშიშარად და მხედრულად.

მტერს ვებრძოდით ხმალიდევნით, ბუნაგშივე მოვსპვით მწარეთ, თავისუფალ ხალხთა შორის სიყვარული დავამყარეთ.

მაგრამ, თურმე, დარჩენილა ერთი-ორი სისხლის მდომი და იარაღს აუღარუნებს, რომ ასტეხონ კიდევ ომი.

ურჩევნია ნუ გვაქვზებს, ნუ ეჩვევა ხელის ფათურს, თორემ ჩაკვლავთ უფიქრელად იმათ აზრებს მუხანათურს.

დიდ სტალინიმა მოგვიწოდა და ჩვენც იმის სახელს ვფიცავთ, მტერთ არასდროს გავახარებთ, — საბჭოეთის მიწას ვიცავთ.





# სახეჯარი

## მოთხრობა

შვი ზღვის სანაპიროზე, მახინჯაურში, აგრონომ გიორგი ბროლიძის თეთრი სახლი მომალლო ადგილზე იდგა და შორიდან კარგად ჩანდა. აგრონომის ვრცელ ეზოში მანდარინის, ლიმონისა და ფორთხლის საუცხოოდ მოვლული ხეები იქცეოდა ყურადღებას. ლობის გასწვრივ დარგულ რამდენიმე ევკალიპტს თავი ცისთვის მიებჯინა. აქა-იქ ჩანდა ტუნეო, იაონური ხურმა, ჩაის ბუჩქები და ცისფერთვალა პორტენჯიები, რომლებიც ბროლიძის ეზოში ზღვის ფერად-ფერადი კენჭებით და ხრეშით მოკირწყულს გზას ამშვენებდნენ. ამ გზას მასპინძელიც და სტუმარიც სახლისკენ მიჰყავდა.

იმ დღეს, როდესაც ალექსანდრე ივანოვმა ბროლიძის ეზოს ჭიშკარი შეაღო, აგრონომის რვა წლის შვილიშვილი რეზო სახლის კიბეზე იდგა და ფინიას ვთამაშებოდა.

ივანოვი მიუახლოვდა ბავშვს და წმინდა ქართულით უთხრა:

— გამარჯობა, პატარა კაცო!

რეზო ფეხზე წამოხტა, გაოცებით შეხედა მომღიმიარე, ვაჟდარავებულ უცნობს და მიმალმების ნაცვლად რაც ძილა და ღონე ჰქონდა დაიყვირა:

— ბაბუაა... უუ... სტუმარია, სტუმარი!

ალექსანდრე ივანოვმა გულიანად გაიცინა, უნდოდა ბავშვისათვის რაღაც ეთქვა, მაგრამ ხუთიოდე სიტყვის მეტი ქართული აღარ სცოდნოდა, რუსული კი რეზოს არ ესმოდა. ბოლოს რეზომ მოისაზრა. უცნობს ხელი ხელში მოჰკიდა და აიგანზე აიყვანა. ივანოვი სუამლოვინზე ჩამოჯდა, რეზომ კი ძირს ჩა-

ირბინა და ისევ გაისმა მისი ძახილი:

— ბაბუაა... სტუმარია მეთქი, სტუმარი, არ გესმის?

ცოტა ხნის შემდეგ საშუალოზე მაღალი ტანის გიორგი, რომელსაც ლიმონის რამდენიმე პატარა ტოტი ეკავა ხელში, აიგანზე იყო. მის უფან რეზო იდგა. ალექსანდრე წამოვდა და გიორგის სასაიმოვნო ხმით მიმართა რუსულად:

— იმედია დაუბატიეებელი სტუმრობით არ დამძრახეთ! ძველ მეგობარს უნდა აპატიოთ ყველაფერი. აბა თუ გახსოვართ, მასპინძელო?


ბროლიძემ დაკვირვებით შეხედა უცნობს და, უარის ნიშნად, ღიმილით თავი გააქნია. ალექსანდრე კი განაგრძობდა:

— მოსკოვის უნივერსიტეტი არ გახსოვთ?

სტუდენტებს ივანოვის და ბროლიძის მეგობრობა არ გახსოვთ? შემდეგ ომი... ერთ ნაწილში მოხვედრა, კარპატებში ბრძოლა, დაჭრა და დამორება... მერე რევოლუციები... აჯანყებულები ხალხი... ბრწყინვალე გამარჯვება და წერილობითი კავშირის აღდგენა პროფესორ ალექსანდრე ივანოვსა და სახელმწიფო აგრონომ გიორგი ბროლიძეს შორის... არ გახსოვთ?

გიორგიმ ივანოვს ლაპარაკი აღარ გააგრძელებინა, მიუახლოვდა და გულმგებულად გადაეხვია.

— ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე! ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე! ნუთუ ეს შენა ხარ? როგორ გამოცვლილხარ! რას ვიფიქრებდი,



თუ სიბერის დროს კიდევ შეგხვდებოდით ერთმანეთს! მოდი კიდევ გაკოცო, ჩემო მეგობარო!

რეზო მოხუცებულებს მისჩერებოდა და საშინლად სწყინდა, რომ მათი ლაპარაკი არ ესმოდა.

გიორგი კი აღუღებულს იყო და ბილიშ იხილდა:

— მბაბტიეთ, აღექსანდრე ნიკოლოზისძეც, თუ კარგად ვერ გაგიმპასინძლდე, ჩვენები ყველანი ბათუმს წაიღინენ, სახლში მე და ეს ბიჭუნა ვართ, შევიადეთ თოახში და ცილაპარაკით, მერე სხვა საქმეც გავვიჩინებდა... ახლაგაზრდობის წლები მოვივინოთ და დავილოცოთ, ურიგო არ იქნება!..

პროფესორი აღექსანდრე ივანოვი განთქმული ბოტანიკოსი იყო, მოვლილი ჰქონდა უკიდურესი ჩრდილოეთის და შორეული აღმოსავლეთის მხარეები, კარგად იცნობდა შუა აზიას და ამჟამად საქართველოს ესტუმრა. ერთი თვე ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ჩამოსულყო და სამეცნიერო მუშაობას აწარმოებდა. ის კარგად იცნობდა იმ წერტილებს, რომლებსაც გიორგი ბროლიძე სუბტროპიკულ ჟურნალებში აქვეყნებდა ყინვაგამწლვ ქართული ჯიშის ლიმონის გამოსაყვანად. ამიტომაც აღექსანდრე ივანოვი ინტერესით შეეკიბა მას:

— როგორ მიღის შენი ცდები, გიორგი? ბროლიძემ თავი უკმაყოფილოდ გააქნია

და უბასუხა:  
— რეა წელიწადი გადავეყვი ამ საქმეზე, რამდენჯერ მეგონა, რომ უკვე მივალწინაშე შენს მეთქი, მაგრამ არადერი გამწვანდა. ჯერჯერობით სასურველი შედეგი ვერ მივიღე.

— გული არ გაგიტყდეს, მეგობარო, მუშაობა განაგრძე, ლიმონი უდიდესი სიმდიდრეა სამშობლოსათვის. — გაამხნევა პროფესორმა.

— ვიცო. — უბასუხა აგრონომმა და დამარცვლით წარმოსთქვა: — ლიმონი წა...მა...ლი...აქუც ვცდილობ, რაც შემძლია.

იმ დღის შემდეგ პროფესორი ხშირად დადიოდა ბროლიძის ოჯახში. თავისი კეთილი ხასიათის გამო ის ყველას შეუყვარდა, განსაკუთრებით რეზოს. ზღვის ნაპირას რიყეზე ხშირად დაინახავდით აღექსანდრე ივანოვსა და პატარა ბროლიძეს, რომელიც მას გულუბრყვილოდ ელაპარაკებოდა:

— შენ ჩემი რუსი ბაბუა ხარ, ცურვას გასწავლი.

ივანოვი ალლოთი ხედებოდა მის ნათქვამს და იცინოდა:

— ჰო, შენ კარგი ბიჭი. მე ქართული ისწავლი, შენ ბევრი რუსული ისწავლი და მეტი ბევრი ვილაპარაკოთ.

კვირაობით აღექსანდრე ივანოვი მთელი დღე ჩრებოდა მახინჯაურში და თავის გულთბილ მასპინძლებთან ერთად ტუბებოდა უბრებში.

ხანდახან სტუმარი სიამოვნებით აღევნებოდა თელავის პატარა რეზოს, რომელიც მეზობლის ბიჭებს ცურვასა და ყვინთვაში ეკვიბრებოდა და იისფერწინწკლებიან შეღუბნებზე ნადირობდა.

— კარგია, კარგი, — აქუჩებდა პროფესორი, — ჩინებული მეზღვაური იქნები, პატარა კაცო!

ამ სიტყვებზე რეზოს მოიხმობდა ხოლმე და სველ ბეჭზე ხელს დაარტყამდა.

წელი წელს მისდევდა. ყოველ ზაფხულს ივანოვი საქართველოში ჩამოდიოდა და მახინჯაურში ისვენებდა. რეზოსათვის მოჰქონდა საჩუქრები — წიგნები, სურათებიანი ალბომები, სათამაშოები და ჰპირდებოდა მოსკოვში წაყვანას. მაგრამ მეორე დიდმა ომმა კავშირი ამ ოჯახებს შორის დროებით შესწყვეტა. პროფესორი არც ჩამოსულა და არც არადერი მოუწერია. რეზო განაგრძობდა სწავლას. ის გულმოდგინედ მეცადინეობდა სკოლაში და სხვა სასწავლო საგნებთან ერთად ეუფლებოდა რუსულ ენას. მას განსაკუთრებით აინტერესებდა ახლა რუსი ბაბუის მიერ აღრე ნაჩუქარი ლამაზად გამოცემული წიგნების წაყოხვა, რომლებზეც გამოხატუ-

ლი იყო პუშკინის, კრილოვისა და ტოლსტოის სურათები. რეზოს სიხარული საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც რუსული ენის მასწავლებელი მას კმაყოფილებით ეუბნებოდა:  
— ყოჩაღ, ბროლიძე! შენს ნაწერში მხოლოდ ერთი შეცდომა იყო, იბეჯითე და მალე თავისუფლად შესძლებ რუსულ ენაზე წერასა და საუბარს.

აგრონომ გიორგის თმა და წვერ-ულვაში მთლად გაუთეთრდა, მაგრამ მუშაობას განაგრძობდა. გასულმა ზამთარმა მას უდიდესი გამარჯვება მოუტანა. თხუთმეტი წლის მუშაობის შემდეგ გიორგიმ შესძლო ყინვაგამძლე ქართული ჯიშის ლიმონის გამოყვანა. მოხუც აგრონომს უხაროდა; ლიმონის გავრცელების არე გადაიწყვედა გურიის მითან აღგვიღებისა და იმერეთისაკენ. თავის სიხარულის ყველას უზიარებდა და ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ რა სახელი მიეცა ქართული ლიმონის ახალი ჯიშისათვის.

აგრონომის ოჯახში ხშირად იგონებდნენ ივანოვს.

— ეხ... არა ჩანს ჩემი რუსი ბაბუა!— ამბობდა რეზო.— რომ ჩამოსულიყო მე და ის ბევრს ვილაპარაკებდით ახლა რუსულად. რატომ დაგვივიწყა ასე! საღ იქნება ნეტავ ახლა?

— ვინ იცის!— აღიევდა პასუხს გიორგი.— ალბათ, შორს არის საღმე, ძალიან შორს. ვრცელია ქვეყანა. იქნება ჩვენი პროვინსორი ზის ახლა წყნარი ოკეანის ნაპირას ან დაღის უსურის ტყეებში და სასარგებლო საქმეს აკეთებს.

ასე ამბობდა გიორგი, მაგრამ გულს კი საშინელი ეჭვი უღრუნდა:

— ვაი, თუ უკვე აღარაა ცოცხალი მხარული მოხუცი?

საბედნიეროდ ეს ეჭვი არ გამართლდა.

ამ შემოდგომის დასაწყისში გიორგი ბროლიძის ოჯახში მოულოდნელად მიიღო მოსკოვიდან აღუქანანდრე ივანოვის დეპეშა. ყველას მოკითხვას უთვლიდა და რეზოს კვლავ პირდებოდა მოსკოვში წაყვანას.

— ბედნიერი ვართ, ბედნიერი! ჩვენ დიდებულად ვხვდებით დიდ დღესასწაულს. მთელი ჩემი მუშაობა სამშობლოს ენაცვალოს. ძალიან მიხარია, მეგობარი ცოცხალი მყოლია, რეზო კარგად სწავლობს და სხვებიც კარგად მყავს. — დიმილით ამბობდა გიორგი თავისიანებში.

ოქტომბრის ბოლოს მანდარინი თანდათან ოქტომბრად აფერადდა. გიორგის მიერ გა-



მოყვანილი ქართული ლიმონიც დამსხვილდა და აქაიქ სიყვითლემ დაჰკრა. შემოდგომის ხილმაც თავი მოიწონა და ყველას ყურადღება მიიქცია.

ერთ საღამოს ბროლიძის ოჯახის წევრებს თავი მოყვართ და საუბრობდნენ. უეცრად რეზო ბაბუასთან მივიდა და უთხრა:

— ბაბუა, ერთი რამე უნდა გითხრა!

— თქვი, ყველა მოვისმენთ.

— ბაბუა, მოდი ერთი ყუთი გააკეთე, შენი გამოყვანილი ქართული ლიმონები და ჩემი რუსულად დაწერილი წერილი აღუქანანდრე ივანოვს გავუგზავნით მოსკოვში. მხოლოდ ხელავე უნდა გავგზავნოთ. დღესასწაულზე უნდა მიუწეროს.

— ყოჩაღ რეზო, კარგი აზრია!— და ბაბუა გიორგიმ კმაყოფილებით გაიღიმა.


— წერილი უკვე დაწერე და რუს ბაბუას ვატყობინებ შენსა და ჩემს ამბავს. მოგიტან და წაიკითხე რუსულად ჩემი დაწერილი წერილი.

რეზომ მეორე ოთახიდან წერილი გამოიტანა და გიორგის გადასცა. ბაბუამ გულდასმით წაიკითხა შელიმვილის წერილი და სიხარულით სთქვა:

— ყოჩაღ, უშეცდომოდ და კარგად დაიწერია, ეს ჩვენთვის დიდი საჩუქარი და სიხარულია. გავახაროთ და გავუგზავნოთ საჩუქარი პროფესორსაც.

მეორე დღეს ყუთი ქართული ხილით გაავსეს და მოსკოვს გავგზავნეს. გავგზავნეს რეზოს რუსულად დაწერილი წერილიც.





ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ წითელი ფერი იქცა რევოლუციონერ ხალხის საყვარელ ფერად, რომელიც შეურიგებელი ბრძოლის სიმბოლო იყო მეფეებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ.

პირველად წითელი დროშა ხალხმა პარიზში ააფრიალა 155 წლის წინათ—1792 წელს, რითაც ომი გამოუტანდა მეფის ხელისუფლებას.

წითელი დროშით დაიბადა პარიზის კომუნა 1871 წელს. როდესაც პარიზში ბურჟუაზიის ჯარები შეიჭრნენ, კომუნარებმა მთელ ქალაქში ბარიკადები გააკეთეს. სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა. ბურჟუაზიის ჯარი რიცხობრივად სჭარბობდა მებრძოლ კომუნარებს. მტერმა წარმატება მოიპოვა. როდესაც მან ალყა შემოარტყა უკანასკნელ ბარიკადს რამპიონის ქუჩაზე, ბარიკადზე წითელი დროშა კიდევ ფრიალებდა. ერთი კომუნარი მუშა და ერთი ბიჭი გადაარჩა ცოცხალი. მტერი ბარიკადს რომ მიუახლოვდა, კომუნარმა მხოლოდ მაშინ მოხსნა წითელი დროშა და უთხრა ბიჭუნას: „შეინახე ეს დროშა, რადაც უნდა დაგიჯდეს!“ ბიჭმა წითელი დროშა ტანზე შემოიხვია და სეტყვასავით მომავალ ტყვიას შორის გაირბინა ქუჩაში.

ბიჭი გადაარჩა.

პარიზის კომუნართა ჩამომავლობამ, რამდენიმე წლის წინათ, ეს დროშა მოსკოვში

მოიტანა და მავზოლეუმში დიდი ლენინის კუბოსთან დაასვენა.

1876 წელი აღსანიშნავია რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ამ წლის 18 დეკემბერს პეტერბურგში—ყაზანის მოედანზე გაიმართა მუშათა პირველი პოლიტიკური დემონსტრაცია. მუშა პოტაპოვმა დემონსტრაციაზე ააფრიალა წითელი დროშა, რისთვისაც ის პოლიციამ დააპატიმრა. პოტაპოვს 5 წლით ციხე მიუსაჯეს.

მაგრამ ციხეებს და კატორღებს არ შეეძლო შეეშინებია რევოლუციონერები. წითელი დროშა მათ მოუწოდებდა ბრძოლისაკენ და ნათელი სხივებით უნათებდა გზას გამარჯვებისაკენ.

1901 წლის 1 მაისს ამხანაგმა სტალინმა თბილისში მოაწყო მუშათა დემონსტრაცია. როდესაც დემონსტრაციის მონაწილენი მოედანზე შეიკრიბნენ, ამხანაგმა სტალინმა მისცა მათ მითითება — აეფრიალებინათ წითელი დროშა. იმ წუთშივე იქ გაჩნდნენ პოლიციელები, იშიშვლეს ხმლები და მიცივიდნენ მედროშეს. გაიმართა საშინელი ხელჩართული ბრძოლა. დროშა გადადიოდა ხელიდან ხელში. მუშები შეუპოვრად იბრძოდნენ და პოლიციელებს დროშას არ ანებებდნენ.

1905 წლის 9 იანვარს ფაბრიკანტებისაგან გაწყალებული პეტერის მუშები მივიდნენ მეფე ნიკოლოზ მეორესთან, რათა შეეღა ეთ-

ხვათ მისთვის, მაგრამ მეფემ შეწყალების ნაცვლად მუშები დახვრიტა. ამ მოქმედების საპასუხოდ რუსეთის მრავალ ქალაქში მუშები ქუჩებში გამოვიდნენ და ბრძოლა გამოუცხადეს თვითმპყრობელებთან.

ქალაქ ტომსკში ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა სერგეი მირონის-ძე კიროვი. მომხდარ შეტაკებაში ჟანდარმერიამ სასიკვდილოდ დასჭრა მეღრომე კონონოვი. მეღრომემ უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, მოგლიჯა დროშა ტარს და შეინახა უბეში.

დემონსტრაცია ჟანდარმერიამ დაშალა, ხოლო კონონოვის გვაში გადაიტანეს საცხედარში.

მიუხედავად სამიშროებისა, რომელიც სერგეი კიროვს გამხეცებული ჟანდარმერიისაგან მოუღოდა, მან მიიღო მოახერხა ვასილა პატრიუხებს შორის, მონახა კონონოვის გვაში და ერთგული ამხანაგის უბეში იპოვა სისხლით მოსვრილი წითელი დროშა.

როდესაც ტომსკის მუშები კონონოს ასაფლავებდნენ, ის წითელი დროშა ისევ ფრიალებდა მუშათა რიგებში და მუშებს მომავალ ბრძოლასაც მოუწოდებდა.

1917 წლის ოქტომბერში მთელს ჩვენი სამშობლოში ფრიალებდა წითელი დროშა.

ამ დროშამ გაიმარჯვა! წითელი დროშა იმ დღის შემდეგ ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო ბიარალი გახდა. წითელი დროშა—სიმბოლოა ლენინ-სტალინის პარტიის ძლიერობისა და გამარჯვების. აი, რისთვის ეწოდა ჩვენი ქვეყნის პირველ ორდენს წითელი დროშის ორდენი.

წითელი დროშის ორდენებით პირველად დაჯილდოებულ იყვნენ თავისუფლებისა და ხალხთა ბედნიერებისათვის მებრძოლები — ელადიმერ ილიას-ძე ლენინი და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ახლა საბჭოთა არმიის ათასობით მებრძორი და კომანდირი დაჯილდოებული, თავდათებული ბრძოლისა და მამაცობისათვის, წითელი დროშის ორდენით.

ამ ორდენით 1928 წელს დაჯილდოებული იქნა ლენინური კომკავშირი, რომელიც სამამულო ომის წლებში თავდადებულად იბრძოდა ახალაპირდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

ღიბი სამამულო ომის პერიოდში წითელი დროშა ათასობით ეხმარებოდა ჩვენს მებრძოლებს ბრძოლებში და მიუძღოდა გამარჯვებისაკენ. მაგრამ როცა სამიშროება ელოდა წმიდა დროშას, მაშინ სიციცხლეზე უფრო უფრო თხილდებოდნენ მას.

მწერალი ბ. პოლევოი თავის წიგნში „ბელგრადიდან კარპატებამდე“ ასეთ ამბავს მოგვითხრობს:

1941 წლის სექტემბერში 18-ე სატანკო პოლის ერთმა ჯგუფმა, რომელიც მთავრობდა მიერ მოწყვეტილი იყო თავისი მთავარი მწილისაგან, განაგრძო ბრძოლა გერმანელებს წინააღმდეგ და მიიწველა ხარკვისაკენ. სასტიკი ბრძოლის შემდეგ დამთავრდა მებრძოლი დარჩა ცოცხალი. იმათ ჭაობში ორუციასთან ლეიტენანტმა შამრჩამ მოაგროვა ამხანაგები, ამილი პერანოვი შეხვეულობის პოლის დროშა, ვასილა მებრძორის სინათლეზე და საზიოზოდ წარმოსთქვა:

„სანამ ჩვენ მკაცს ვვაქვს იარაღი და ვვაქვს პოლის დროშა, ჩვენი პოლი და მარცხებული არაა, ის არსებობს და იბრძვის; დაეცემა, ამხანაგებო, ამ დროშის წინ, რომ ჩვენ იარაღს არ დაყვირო და ვიბრძოლებთ სანამ ცოცხლები ვართ.“

ამ სიტყვებზე ლეიტენანტმა დაიჩოქა, ეამბორა დროშის კუთხის და გადასცა ამხანაგებს; იმათაც იგივე გაიმეორეს.

ერთხელ პარტიზანულ ტანკისტებს გერმანელებმა ალყა შემოარტყეს და შეიპყრეს ისინი. დროშის ძებნაში, ტანისამოსი აპყრეს, ბოლოს სულ გააშინველეს და შიმშველ ტანზე ცივი წყალი გადაასხეს. მოითხოვდნენ დროშა გამოეჩინათ. სასტიკი ზამთარი იყო. ტანკისტები ყინულის სტატიკებზე გადაიქცნენ, გაყინულები დაიხოცნენ, მაგრამ დროშა არ ვასცეს. დროშა კი ერთ სოფელში პავლე ტროიანოვი-ძე ბელოგრადის ოჯახში იყო დამალული.

ღიბი სამამულო ომის დღეებში ჩვენი ნომმა ჰიონერებმა ისახელეს თავი სამშობლოსადმი სიყვარულით.

სოფელ პოკროვსკში (სტალინგრადის ოლქში) პიონერებმა გერმანელებს ზურგში შეუქქეს დარული რაზმი. რაზმში იყო პიონერ-და დროშა.


გერმანელებს ბევრი დარტყმა აგემეს ნორჩმა პიონერებმა. როდესაც საბჭოთა მებრძოლებმა გერმანელებისაგან სოფელი გაათავისუფლეს, პიონერები წითელი დროშით შეიგებნენ მათ.

ანოზო პიონერო! გახსოვდეს, რომ წითელი დროშა შეღობილია თქვენი მამა-პაპათა და ძმების სისხლით და მისი სახელი ვაგრწყინებულია სასიკეთლო ბრძოლით და შრომით.

გაუფრთხილდი, როგორც თვალისჩინს. პიონერთა დროშას, რომელზედაც ოქროს ასოებით აწერია პიონერთა საბრძოლო დევიზი: „ლენინ—სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“

მიცხმარე უფროსებს თავდადებულ შრომაში და ადიდე წითელი დროშა წარჩინებულ სწავლით.





ნამღვილი ამახვი

მიტკა კასიშმა მუხლებში ჩაქინდრული თავი წამოსწია, თვალები მოისრისა და მიმოიხედა. ვაგონი ახალი მგზავრებით ავსებულიყო. ძველ მგზავრთაგან მხოლოდ ერთი ქალი შერჩენოდა ვაგონს, სხვები, დადლილ-დაქანცულნი და გაწამებულნი, ღამით გზადაგზა სადგურებზე გადასულიყვნენ. აღარ ისმოდა მგზავრობით გაწვალებული ბავშვების ტირილი. ახალი, დასვენებული მგზავრების ხილვამ და ვაგონის ფანჯრებში შემოჭრილობა მზის შუქმა გაახალისა მიტკა. ხურჯინებსა და კალათებში ჩაქედილი ყმაწვილი ძლივს წამოდგა, კვლავ მოავლო თვალი ვაგონს და იკითხა:

— სად ვართ?!

ფანჯარასთან მდგომი შავვერემანი ქალი მიუღბრუნდა და ღიმილით უთხრა ყმაწვილს.

— თბილისში.

— თბილისში?—წამოიძახა მიტკამ და მიხვდა, თუ რატომ უბრწყინავდა ახლა მის თანამგზავრ ქალს ნაღვიანი თვალები. იცოდა, ეს ქალი ქართველი იყო და მშობლიური ქალაქის ხილვა ახარებდა.

მიტკა გადაახტა ხურჯინებს, კალათებს, აბგებს და ვაგონის კარებსაკენ გაეშურა.

მატარებელი სადგურში ჩამოდგა. ახმაურებულმა ხალხმა მიტკა მხარდამხარ გაიტანა სადგურის უკან. მიტკამ თავისუფლად ამოისუნთქა, შეეს შეხედა და მოზღვავიბულ ხალხს გაყვა. მიდის ხალხი და მიდის მიტკა კასინიც. არ იცის, სად გაიერდეს, სად მოედება ბოლო ხალხის დენას. აგერ ტრამვას ვაგონები იტვირთება ხალხით, იქ ავტომანქანები მიჭრან, მიტკამ ტრამვააში ჩაჯდომა იფიქრა, ჯიბეზე მოივლო ხელი, არც ერთი კაპიკი არ აღმოაჩნდა. ხელში პირადობის საბუთი მოყვა, გადაფურცლა წიგნაკი, დააცქერდა: „მინსკის საშუალო საავიაციო სკოლის მერვე კლასის კურსელი—ღიმიტრი ბორისის-ძე კასინი“. ყელში ბოლბა მოაწვა, გაჩქარებულ ხალხს ჩამოშორდა და მაღალ კენ-

დელს მიეყრდნო. ცრემლიანი თვალით გასცქეროდა მიტკა ქალაქს. მის ვარშემო ხალხი იროოდა, ზოგს სანოვავით საეცე კალათი მიქრონდა, ზოგს თონის პურები. პურის სუნი იყნოსა ყმაწვილმა და შიშშილი იგრძნო.

მიტკა კასინმა გზა განაგრძო. მიდიოდა პლეხანოვის განიერი ქუჩით... უცებ შეკრთა: რომელიღაც სკოლიდან ზარის ხმა შემოესმა. ტანში თბილმა ყრუანტელმა დაურბინა ყმაწვილს. რამდენი ხანია ეს ტკბილი ხმა არ სმენია! მარცხნივ მიიხედა, დიდი შენობიდან მოსწავლე ყმაწვილები ერიამულით გამოვიდნენ, ისეთივე ტანისამოსით მორთულნი, როგორითაც მიტკა ამაყობდა ამ ორი თვის წინათ. ვინა ორი თვე? თითქო ორმა წელმა გავლო მინსკიდან გამოქცევის შემდეგ. ასე ეგონა უთვალავ სადგურებში ხეტიალით მობუზრებულს.

მოსწავლე ვაეებს ხუთქიმიანი ვარსკლავები უბრწყინავდათ ქულებზე. ვაფიორდა მიტკა, მის წინ მწყრივებად მოლოდნენ ამაყი და მხიარული კურსელები. მიტკაც ასე გამოლიოდა მინსკის საავიაციო სკოლიდან. ახლა? ქული, ხუთქიმიანი ვარსკლავი. სადაც დაიარაგა, საყელოზე ფორმის ნიშნები დაქმუქროდა და მახუთით დაქუქუიანებოდა.

გულზე ყვითელი ღილები დასწყევტა. ფეხსაცმელს ლანჩა გაეარინა. ხელში და კისრის კანი გასქელებია და თუჯივით გაუხიშებულა, თმა გაბურჩენია. ვის იჩვენოს ასე?! დაფიქრდა ყმაწვილი და გადასწყევტა: ერთ-ერთი კურსელი გაუმიხლოს თავისი დარდი. აუხსნას, რომ მერვე კლასის კურსელია ჯიბიდან ისევე ამოილო პირადობის მოწმობა, რომელიც მინსკიდან გამოქცევის წინააღმდეგ მისცა ხელში მინსკის საავიაციო სკოლის უფროსმა.

კასინი წინ გადაუდგა ერთ მაღალ ბიქს და მორიდებით ჰკითხა:

— ამხანავო, საავიაციო სასწავლებლის კურსელი ხართ ხომ?



— დიხს.  
 — სასწავლებლის უფროსის ნახვა როდის შეიძლება?  
 — დილით ყოველთვის. — ცალკეად უპასუხა კურსელმა და ფეხს აუჩქარა.  
 — მომისმინეთ! — წამოიძახა კასინმა, და უცებ ხმას დაუდგამა, — მომისმინეთ ამხანაგო, მეც კურსელი ვარ, მინსკიდან ვარ... არ ვიცი, იქ ჩვენები ცოცხლები დარჩნენ თუ დაიხოცნენ.

მაღალი კურსელი შემობრუნდა, დააკვირვებით აათვალიერა მოსატბრე.  
 — მშობლებს გამოექეცი?  
 კასინს თითქო თავში ურო დაჰკრეს, ჰარხარის ფერი გახდა და ძლივს ხრინწიანი ხმით წამოიღუღღუდა:  
 — ასე რატომ მითხარით?! გული მატკინეთ... დედა მყავდა... ახლა არ ვიცი, სად იქნება.

— მესმის... ალბათ, ნათესაებთან ჩამოხვედი, ვინდა თავი შეაფარო.  
 კასინმა ვერ აიტანა შეურაცხყოფა და სახე დაეღრიჯა.

მაღალმა კურსელმა განავრძო:  
 — მე ფრონტზე წასვლას ვაპირებ და ვერ მოგვეფერები, მძულს ომიდან გამოქცეულები.

მიტკას სამართლიანი ენეუნა მოსატბრის სიტყვა, თანაც უცარი სიტბო იგრძნო მის მიმართ.



— დამიჯერეთ, აქ ნაცნობიც არავინ მყავს.  
 — მამ სად გაათეე ლამეს?  
 — არ ვიცი, ჯერ არ დაღამებულა. მაღალი კურსელი დაფიქრდა.  
 — წამოდი ჩემთან, — სთქვა ბოლოს მან.  
 — დედაჩემი მასწავლებელია, მოგაწყობს სადმე, ნუ გეშინია.  
 კასინს სახე გაუბრწყინდა. სიხარულით ათროილდა. უცბო ამხანაგს თვალებში შეხედდა და უთხრა:

— როგორ შეგაწუხოთ!  
 — არა უშავს, ნუ გერიდება... დედაჩემი კეთილი ქალია.  
 — თქვენი სახელი? — ჰკითხა მიტკამ.  
 — ავთანდილი.  
 — რომელ კლასის კურსელი ხართ?  
 — მეათესი.  
 — კომკავშირელი იქნები.  
 — მამ... უპასუხა ავთანდილმა.

— ამხანაგო ავთანდილ, შენ არ გინახავს ომი, იცი რა საშინელებაა?! როცა სკოლის უფროსმა გამოგვიცხადა, თავს უშველეთო, მე დედაჩემთან გავქეცი. ჩემი უბანი ცოტა შორს იყო სკოლიდან. ხალხი გარბოდა, მე შინსიკენ მივრბოდი. გავიზბინე ქუჩები, დედა არსად ჩანდა. ხალხის ტალღამ უკან შემომამბრუნა. მივრბოდით უგზო-უკვლოდ. გრიალებდნენ ზარბაზნები. ტყვია ქვიშასავით გვაცვივოდა თავზე. ჩემს გვერდით საცოდავად ეცემოდნენ მიწაზე დაჰრიოლები, მკვდრები, ქალი, კაცი, ბავშვი. არავინ რჩებოდა მათთან. ცოცხლები გავრბოდი. სატვირთო მატარებელს მოვკარი თვალი გავიქეცი, გზა გადავჭერი, დაუხვდი მატარებელს. ძლივს მოვახერხე ვაგონზე შეხტომა, ფეხი დამიციდა, ჩამოვებლაუქე საფეხურს. ძალა გამომეღლია, ის იყო უნდა გადავჩხელიყავ სრამში, ამ დროს ვიღაც მაღლიანი გადმომწვდა, ჩამოქიდა ხელი და ამითანა ვაგონში ცოცხალ-მკვდარი. შემდეგ არ მახსოვს, როგორ მოვსულიერდი. როცა გონს მოვედი, ვიღაცამ პური მომართო. ფანჯარაზე მივდექ, ჩემი ვაგონი უცნობ ადგილებში მიჰქროდა.

— საით მივალთ? — ვკითხე ვაგონის გამოცილებელს.  
 — სმოლენსკისაკენ.  
 — ბევრი რამ გადამხდა თავს, ორი თვეა სადგურიდან-საქდგურში დავეჭტები. მოხარული ვარ, რომ თბილისში მოვედი ცოცხალი. რა თბილი და ბრწყინვალე მზეა, რა კრიალა ცა, მხიარული ქუჩები. ოცამდე წერილი დავწერე სადგურებში და დავგზავნე სხვადასხვა ქალაქში. გავთებებს ვთხოვდი, მილიციას ვეხვეწებოდი იქნებ დედა მაგდა ნახოთ სადმე მეთქი. ვერაფერი გავიგე.

ასლევუნდა მიტკა. ცხელმა ცრემლმა ერთხელ კიდევ ჩამორეცხა მური ყაფვილის სახიდან. ავთანდილს შეებრალა კასინი, ხელი მოხვია და მეგობრულად დაუყვავა:

— ნუ ტირი ძამია, ცრემლი ვეკაცისათვის რა საკადრისია!

მიტკამ ჩქარა მოიწმინდა თვალები.

ავთანდილმა განაგრძა:

— ახლა შეათე კლასელები ჩქარა წავალთ ფრონტზე. ჩქარა მაიორი გავხდები. ას მხეცს მაინც მოვკლავ და მერე მშვიდად გეტყვი:

— აბა, ამხანაგო კასინ, ახლა შენი ჯგერია.

კასინი უცებ შედგა და მტკიცედ წარმოსთქვა:

— თანახმა ვარ.

ავთანდილმა და მიტკამ მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

კვლავ გზა განაგრძეს.

ავთანდილი სახლის კარებს მიადგა. მიტკამ უკან დაიხია.

— ვერ შემოვალ, — სთქვა დარცხვენით, — დედაშენს პაცანა ვეგონები. ავთანდილი მართო შევიდა ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო, მაღალი ქალი გამოვიდა და აღერსით უთხრა მიტკას:

— შემოდი, შვილო, შემოდი.

ეს ქალი ავთანდილის დედა იყო.

მიტკა გათამამდა და ქალს უხერხულად ოთახში შეყვა. ოთახში შესვლისთანავე მიტკამ თბილი შექამანდის სუნი იგრძნო. მთელი დღე-ღამის უქმელს თავბრუ დაესხა, მუსღები მოეკეცა. თვალები რომ მიეზნინა, დედა მაგდას ლანდი წამოადგა თავზე. როცა გონს მოვიდა, ავთანდილის დედა იდგა მის წინ. ეფერებოდა და თბილი წყნით ბავებს უსყელებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კასინი მოკეთდა, აღმაიანს დაემსგავსა. ავთანდილს ახლა უფრო მოეწონა ძმობილი.

ერთ საღამოს სამუშაო მაგიდასთან ოხბუნენ მეგობრები, წიგნებს ათვალიერებდნენ. ავთანდილმა ჰაინეს ლექსები გადაფურცლა და თვლილი შეაჩერა შემდეგ სტრიქონებზე:

„ჩემი ცრემლები, რაც მიფრქვევია — ნორჩ ყვავილებად გადიქვევია...“

— მე მჯერა, ამხანაგო კასინ, ჰაინეს ცრემლები ერთ დროს უთუოდ გადაიქცევიან ნორჩ ყვავილებად. იმ ყვავილებში გაიფურჩი-



ქნებიან ახალი აღმავლები... ჰე, რას იტყვი?

— ორას პიტლერებს რომ მოვკლავ, მაშინ გეტყვი პასუხს. როდესაც შენ მაიორი იქნები და მე კაპიტანი. — ღმილოთ სთქვა კასინმა.

ამ დროს ავთანდილის დედა მარიაში მოვიდა საკლიდან, კასინს ხელი გადაუსვა თავზე და დაყვავებით უთხრა:

— მიტკა, სკოლაში მოვაწყე.

მიტკას ფერი ვცვალა, კეფა მოიქეცა და მღუმაროდ სთქვა:

— სულ ერთია, ვერ ვისწავლი.

— რატომ? არ გყოფნის დასვენება?

— მე გადაწყვეტივთ ფრონტზე წაიდე. დედის ლანდი არ მასვენებს. ყოველ ღამით ბელორუსის მიწაზე დებობრილობ. ჩემი სახლის ნანგრევებს ვთხრი. დედა მაგდას საფლავს ვეძებ. ხან მესიზმრება, თითქო დედა ცოცხალია, მეძახის, ხელს მიქნევს. ხან ნანგრევებზე დგას და ტირის.

გული აუჩუყდა კასინს. მარიაშმა ჩუმად მოიწმინდა ცრემლი.

— პატაკი უკვე მივართვი შტაბის უფროსს, — განაგრძობ მიტკამ, — პატაკში ასე დაწერე: „სკოლაში ფრიალოსანი ვარ, გულადი ვარ, ვეკაცის ძალა მაქვს, მინდა თავი შევიწირო სამშობლოს...“

ეს იყო 1941 წლის შემოდგომაზე. კასინი ზარიცხეს მებრძოლ არმიასში. 1942 წელს, იანვრის ბოლოს მიტკა კასინი ეშელონთან ერთად გაემგზავრა დასავლეთის ფრონტზე. ქალაქ გომელიდან გამოუგზავნა უკანასკნელი წერილი ავთანდილს და დედამისს. შემდეგ არაფერი იცინა მის შესახებ.



# მეგობარი

ის ყაზანში — თათარია,  
ის ოსია — მაღლა მთაში;  
გორში ქართულს უწოდებენ,  
უკრაინულს — პოლტავაში.

ის ტუნდრაში ირმებს დაჰყავს;  
ტრამალებზე დაჰქრის რაშით,  
ის მანქანით, ის ქვეითად  
დადის ჩვენს დიდ ქვეყანაში.

იგი ყოველ სახლში ცხოვრობს,  
ქოხი არის თუ კარავი,  
სტუმრად დადის იგი ჩემთან,  
ის შენთანაც სტუმრად დადის.

მას კომპასი ჯიბეში აქვს,  
სახაზავი იღლიაში,  
ხელთ უპყრია მას გლობუსი,  
ფრანს დააფრენს მაღლა ცაში.

მას ზამთარში ცივა უყვარს,  
ზაფხულში კი — საჭანელა,  
ორჩოფებით, ზელეებითაც  
დადის ჩქარა, დადის ნელა.

ის ტრამეის არ ახტება,  
ის არ ანგრევს ჩიტის ბუდეს,  
არ ქურღობს და არ იპარავს,  
არა სტყუის, არ სწევს თუთუნს.

ქრიჭინებზე ცდებს ატარებს,  
ბევრი კარგი ფიჭვი მოსდის;  
მექანიკოს-მატროსია,  
ბოტანიკოს-ფიზიკოსი!

მას სურს ყველგან იყოს გვირი,  
სცენაა თუ არის ომი,  
პაპანინი — ყინულზე,  
ბედაურზე — ბუდიონი.

სასახლე აქვს მას ქალაქად,  
მას არტეკი ყირიმში აქვს,  
მთელ მსოფლიოს მომავალი  
მას ეკუთვნის, სულ მისია.

სპეტაკია... უშიშარი  
ხმელეთზედაც, წყალშიც, ცეცხლშიც,  
მეგობარს არ მიატოვებს  
არაფითარ განსაცდელში.

ტრამეაში რომ შემოვლენ  
ხეიბარი თუ მოხუცი,  
წამოდგება, თავის ადგილს  
მოწიწებით უთმობს იგი.

დადის წითელ ყელსანხვევით,  
ყველა ბავშვი მას შესცქერის,  
ის — გოგოა, ის ბიჭია, —  
ჩვენი ნორჩი პითნერი.

თარგმანი ბ. მწიწისა



ს

ამჟამით ქვეყანამ 30 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით სტალინის ზეობილიდან შემოდგომის პერიოდში, უდიდესი გამარჯვებით მიიღოვა სახალხო მეურნეობის ზრდა-განვითარებაში შექმნა წარმოების ახალი დარგები, ამჟამად თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული ათასობით ახალი საწარმო, რეკონსტრუირებულ იქნა ძველი საწარმოები და რაც მთავარია, მიწვევლობის ახალი კურობები შექმნა მოკავშირე და აგრეთომიურ რესპუბლიკებში, მხარვესა და ოლქებში.

მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია არა მარტო არსებული ქალაქების ზრდა, არამედ ახალი დასახლებული პუნქტების—სამრეწველო ცენტრების შექმნა. ჯერ კიდევ საკავშირო კ. 3. (ბ) XVII ყოლობაზე იმხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ათითქმის ცარულ დეგილებზე წარმოიშენენ ახალი დიდი ქალაქები მოსახლეობის დიდი რაოდენობით, კონსტრუირებას გაუარყოფენ დიდი ქალაქები და სამრეწველო პუნქტები.

ამჟამად საბჭოთა კავშირში 700-ზე მეტი ქალაქია, რომლებშიც 50 მილიონი მცხოვრები არის, ე. ი. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის თითქმის 30 პროცენტი.

მარტო უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ასობით პატარა და დიდი ქალაქი შეიქმნა და მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 46 მსხვილი სამრეწველო ცენტრი და დასახლებული პუნქტი. ამ 46 ქალაქიდან 24 სრულიად ახალი ქალაქია, ხოლო 22 ქალაქი შეიქმნა პატარა და უმნიშვნელო დასახლებული პუნქტების საფუძველზე.

როგორც რეკავთ ვეცდეთ ახალი ქალაქები შემდგენიარადა განაწილებული: საბჭოთა კავშირის ევროპულ



ნაწილში—26 ახალი ქალაქია, აზიურ ნაწილში—14, შვი აზიაში—5 და სავარდულოში—1 (რუსთავი). ახალი ქალაქების ზრდა და შექმნა განსაკუთრებით დიდ სამრეწველო რაიონებში—მოსკოვის ოლქში, დონბასში, ურალსა და კუბანში ხდება. მთავრად, მარტო მოსკოვის ოლქში 8 ახალი ქალაქია, მათ შორის აღსანიშნავია მოსკოვის ოლქის კვანძების ცენტრი სტალინოგრადი, სადაც ადგილობრივი ქვანახშირით უდიდესი თბულექტროსადგომები მუშაობენ და ელექტროენერჯის აწვდამ მოსკოვისა და მისი რაიონის საწარმოებს. აგრეთვე მანქანათმშენებლობის მნიშვნელოვანი ცენტრებია—ვიტბი, ულბლო, კრკუკა და სხვ. მიწვევლობის ახალი ცენტრები სველზე მდებარეალ-ზეა (10 ქალაქი). მთვან აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის



შვი მეტალურგიის უდიდესი ცენტრი მაგნიტოგრადსკი, ქემიური მრეწველობის გიგანტი ბერეზნიკი, სამრეწველო ურალის მსხვილი სამრეწველო ცენტრი ორსკი, სადაც შენდება მეოთხე ზეობილედის უდიდესი საწარმო ორსკო-აბალონოვის მეტალურგიული კომბინატი, ქალაქის მრეწველობის გიგანტი კანსკოკამსკი, მანქანათმშენებლობისა და ფერადი მეტალურგიის ცენტრები კრასნოარსკი, კამესკ-უოლსკი, კოპიუსკი, რუდნა... მოსკოვის ოლქსა და ურალს შემდეგ აღსანიშნავია კუზნეცის აუზი, რომლის მრეწველობა დიდი სტალინის პირადი მითითებით დაიწყო, კუზნის უკვე წარმოადგენს ქვენი ქვეყნის მეორე საქვანსმინიო-მეტალურგიულ ბაზას. სტალინოზი ზეობილედის მანქანა აქ 8 ახალი ქალაქი შეიქმნა. კუზნისს უკიდესი სამრეწველო პუნქტი—ქვანახშირის ამოღების ცენტრი კერეოვო, სადაც ქვანახშირის ნახაზე მუშაობს მთელ აზიასა და ევროპაში უდიდესი ქიმიური კომბინატი, აგრეთვე მეტალურგიის ქალაქები ლენინსკო-პუნსკი, პროკობინსკი, სტალინსკი, ბელოვი და სხვ. უკრაინაში, განსაკუთრებით დონბასში, აღსანიშნავია ბიდი დიდი ქალაქი. მათ შორის კრამატორსკი, რომელიც მძიმე მანქანათმშენებლობის მეორე უდიდესი ცენტრია

ჩვენი ქვეყანაში სვერდლოვსკის (სურალმა-  
ნი) კარხნის შედეგად მეტალურგიისა და  
ბანქანათმშენებლობის ცენტრები — კონ-  
სტანტინოვკა, კადოევკა, ეროზილიოვოვადი  
და კარანი ლუჩი.

დანარჩენი ქალაქები სხვადასხვა რესპუბ-  
ლიკებსა და მხარეებში გასაღებელი. მავა-  
ლითად, შორეულ ჩრდილოეთში, კლისი სა-  
ხეგარკუნძულზე, სერგეი კიროვის ინიცია-  
ტივით აღმოცენდა ახალი ქალაქი, რომელსაც  
შედეგში მისივე სახელი უწოდეს (კიროვ-  
კი). აქ ხდება მსოფლიოში უმდიდრესი აბა-  
ტიტ-სეფელისების საბადოთა დამუშავება.  
კიდევ უფრო ჩრდილოეთით, ფრანც-იოსების  
კუხუბლზე, ქალაქ ბარენცბურგში საბჭოთა  
ძალაობის იღებენ ქვანახშირს და საწ-  
ვით ამარაგებენ ჩრდილოეთის საეკპრო-  
ფლოტს. ტაიშირის ნახევარკუნძულზე, პა-  
სინის ტბის ნაპირზე, აღმოცენდა ქალაქი  
ნორილსკი, სადაც ნიკელისა და სპილენძის  
მოპოვება წარმოებს, ხოლო მის სამხრეთით  
მდინარე ენისეიზე უდიდეს სამდინარო ნავ-  
სადგურსა და ხე-ტყის სახერხი მრეწველო-  
ბის ცენტრს წარმოადგენს ახალი სოცია-  
ლისტური ქალაქი იგარკა.

შუა აზიაში, პატარა სოფელი დიუმამბე —  
ამჟამად სტალინაბადი ტაჯიკეთის მოკავშირე  
რესპუბლიკის დედაქალაქად გადაიქცა. ასე-  
ვე გაიზარდა ქალაქი ჩარჯოუ თურქმენეთის  
რესპუბლიკის საფეიქრო და გემოკების  
უდიდესი ცენტრი, ქალაქი ბალხანი (ამავე  
სახელწოდების ტბასთან), სადაც მუშაობს  
დიდი სპილენძსაგლინაეი და სპილენძსადნო-  
ბი საწარმოები. მთელ საბჭოთა კავშირში  
ცნობილია ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მესა-  
მე ბაზა — ახალი სოციალისტური ქალაქი  
ყარაგანდა, რომელიც უმაღლესი ხარისხის  
ქვანახშირით ამარაგებს ურალის საწარმოებს.

კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღმო-  
ჩენილ იქნა ქვანახშირის მდიდარი საბადო,  
სადაც გაიზარდა ახალი ქალაქი ვორკუტა. თუ  
მხედველობაში მივიღებთ, რომ საბჭოთა კავ-

შირის ჩრდილოეთ რაიონებში ქვანახშირის  
მოპოვება, მაშინ გასაგებია, რა დიდი მნიშ-  
ვნელობა ენიჭება ვორკუტას ქვანახშირის  
ჩრდილოეთის სამრეწველო რაიონების ქვა-  
ნახშირით მომარაგებაში.

ქვანახშირის ერთ-ერთ უდიდეს საბადოს  
მიეკუთვნება ჩერემხოვოს აუზი ირკუტსკის  
ოლქში. როგორც გამოკვლეულია, აღნიშნუ-  
ლი საბადო თავისი მარაგით აღემატება საბ-  
ჭოთა კავშირის ქვანახშირის საბადოთა მარ-  
აგს. ამჟამად ქალაქი ჩერემხოვო უკვე წარ-  
მოადგენს არა მარტო ქვანახშირის მოპოვე-  
ბის ცენტრს, არამედ ქიმიური მრეწველობის  
ცენტრსაც.

შორეულ აღმოსავლეთში, ოხოტის ზღვის  
ნაპირზე, ამერდა ახალი ქალაქი და ნავსადგუ-  
რი მზადდანი, ქალაქი ბირობოჯანი გადაიქცა  
ებრაელთა ავტონომიური ოლქის ცენტრად,  
ხოლო ქალაქი კომსომოლსკი, მდინარე ამურ-  
ზე, შორეული აღმოსავლეთის მეტალურგიის  
ქალაქად. ქალაქ კომსომოლსკს საცემით სა-  
მართლიანად „შორეული აღმოსავლეთის მავ-  
ნიტოგორსკს“ უწოდებენ.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე იზ-  
რდება და ვითარდება საქართველოს ქალ-  
აქები. ერთის მხრივ მიმდინარეობს ძველი  
ქალაქების ზრდა-გაფართოება (თბილისი,  
ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ქიათურა და სხვ.),  
მეორეს მხრივ, ქალაქებად და სამრეწველო  
ცენტრებად გარდქმნა მცირედასახლებულ  
პუნქტები, მავალითად, ქვანახშირის მოპოვე-  
ბის მნიშვნელოვანი ქალაქი ტყვარჩელი  
(აკარმარა და ქვეზანი) და სხვ.

გარდა ამისა, წარმოიშვა სრულიად ახალი  
ქალაქი რუსთავი, რომლის მეტალურგიული  
კომბინატი იმუშავებს ტყებულ-ტყეარჩელის  
ქვანახშირისა და დამქესანის (ახერბაიჯანის  
სტ.) რკინის მადნის ბაზაზე.

ათეთი მოკლე ჩვენი დიდი სამშობლოს  
ახალი ქალაქების მიმართულება, მათი ზრდა-  
განვითარება და გეოგრაფიული განლაგება.

### მ. ზარდალიშვილი

გორაკიულ მუნიციპალიტეტის კანდიდატი





# ახალგაზრდა გვარდია

## ნაწევები

ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ კაცი თვალში თითს ვერ მიიტანდა. ქუჩებში ნესტიანი და ცივი ქარი ჰქროდა, მოსახვევებში კორიასტის აყენებდა, სახურავებს აბრახუნებდა, ძილებში კეხსოვდა, მათულებში უსტვენდა, ბოძებში უზუნუნებდა. კარგად უნდა ჩავიდნოდათ ქალაქი, რომ ამ გაუფელ ტალახსა და სიბნელეში გაძოსულიყავით უნეტად ძალა-როში შესასვლელ ჯიბერთან.

ჩვეულებრივად ზღის ამ მონაკვეთზე — ევროპულიზაციის გზატკეცილიდან გორის სახელობის კლუბამდე, ღამით მორიგე პოლიცელი დადიდა, მაგრამ, ეტყობოდა, ტალახსა და ყინვას იგი იძულებული გაეხადა სადღაც შეფარებულყო.

ჯიბური ქვიტკირისა იყო; — თუმცა ეს ჯიბური კი არა, უფრო კომედი იყო, კბილანებით ზემო მაწილში, როგორც ეს აქვს ციხე-სიმაგრეს; ძირს კი იყო პატარა კანტორა და შესასვლელი მაღაროს ტერიტორიაზე. კომისია მარჯვნივა და მარცხნივ ქვის მაღალი კედელი იყო აღმართული.

ისილა — მხარბეჭიანი სერგი ლევანოვი და ფეხლონიერი ცეცხლის ალივით მოხუცი ლუბკა თითქოს იმისათვის იყვნენ გაჩენილი, რომ ორივე ერთად გაეკეთებიათ ეს, სერგიმ მუხლი გაიხსნა და ლუბკას ხელები გაუწოდა. ლუბკამ ვერც კი შეაპჩინა ეს ხელები, ისე მოხვდა მათში თავისი პატარა ხელებით და წყნარად გაიცინა. ლუბკამ ფეხსაცმელიანი ფეხი მუხლზე დაადგა, უმაღლეს მხრებზე შეახტა და ხელებით ქვის ვალავას დაეყრდნო. ვაჟმა ხელები მაგრად ჩისჭიდა ფეხსაცმლის ზემოთ, წვივებში, რომ ძირს არ ჩამოვარდნილიყო... ლუბკა მუცლით გალაგანს დაეყრდნო, კედლის მეორე მხარეს გაეჭიდა; ხელები არც ისე საკმაოდ ძლიერი ჰქონდა, რომ თან ვაჟი აეზიდა, მაგრამ როცა სერგი მაგრად ჩაეჭიდა მას წელში, ფეხებით კი ქვის კედელს მიეჭიანა, ხელებზე წამოიწია და სწრაფი, ღონიერი მოძრაობით ჯერ ცალი, მერე კი მეორე ხელი მოავლო კედელს, ლუბკამ მანძილ მოახერხა ამ მდგომარეობაში თავის შემაგრება. ახლა ლუბკას ისლა დარჩენიდა, რომ სერიოვასათვის ადგილი გაეთავი-

სუფლებინა, — სერიოვაც უკვე მის გვერდით იყო.

სქელი კედლის ზედა ნაწილი დაქანებული იყო და სველი, ადვილად შეიძლებოდა იქიდან დაცურება, მაგრამ სერგის ძაგრად ექი-რა თავი, ხელეგამძლილი კომისი კედელს მუხლით მიბჯენდა.

ახლა თვითონ ლუბკა ზურგიდან მხრებზე შეაცოცდა მას, სერიოვაც იყო. კომისის ქონგურები ლუბკას ძეგრის ღონეზე აღმოჩნდნენ და იგი ადვილად ახოხდა კომსზე. ქარი ისე უწეწავდა კაბასა და ჟაკეტს, ეგონა: საცა დადამადგებდსო, მაგრამ მთავარი სიბნელე უკვე დაღუპული იყო...

ლუბკამ ილიიდან პატარა გრაგნილი გამოაძრო, ვერც საპირიდან ქობაში გაყრილ კანაფს ხელი მოავლო და გრაგნილი ისე მიაძვრა ფლაგმენტზე, რომ ქარს არ გააშლევინა. ის იყო ხელი გაუშევა თუ არა, ქარმა ისე ძლიერად აიტაცა გრაგნილი, რომ ლუბკას მღელვარებით გული აუჭკერდა. მან ახლა მეორე უფრო პატარა გრაგნილი ამოიღო და ზედ ფლაგმენტის ძირში მიაკრა, ეს უკვე ქიხეურების შიგნით იყო.

იმგვარადვე სერგის ზურგით კედლის თავზე დაეშვა, ძაგრამ ტალახში გადახტომა მიინც ვერ გაბედა, კედელზე ჩამოჯდა და ფეხები გადმოაწყო. სერგი გადმოხტა და ქვემოდან წყნარად შესძახა, თან ხელები შეუშვირა. ლუბკა ვერ ხედავდა, მხოლოდ ხმის მიხედვით გრძობდა სერგის. უცებ გული აუძვრდა, ხელები წინ გაიშვირა, თვალები მოხუჭა და გადახტა. იგი პირდაპირ ხელებში ჩაუყვარდა სერგის და კისერზე მოეწვია. სერგიმ ერთხანს ასე შეიკავა იგი, მაგრამ ლუბკამ თავი ვაითავისუფლა, ძირს გადახტა, სახეში შეასუნთქა სერგის და აღზუნებით წარმოსთქვა:

- სერიოვკა! გიტარაც წვაილით, არა?
- კი, ტანსაცმელსაც გამოვიცვლი, სულ გამთხუნე შენი ფეხსაცმლით, — უთხრა გაბედნიერებულმა სერგიმ.
- არა, არა, ასე მივიღებენ, როგორც ვართ! — ლუბკამ მხიარულად გაიცინა.



\*\*\*

ვალისა და სეროიყა ტიუღინის ქალაქის ცენტრი—ყველაზე უფრო სახიფათო რაიონი შეხვდათ. გერმანელი გუშაგები იდგნენ რაიონისაკომისა და ბირის შენობებთან, დირექციონთან პოლიცია მორიგობდა, მთის ძირში იყო ენდარმერია. მაგრამ ყმაწვილებს ხელს უწყობდა სიბნელე და ქარი. სეროიყამ მიზანში ამოიღო „ცოფიანი ბატონის“ ცარიელი სახლი. ვალია მეთვალყურედ დადგა, სეროიყა კი სხენზე ავიდა იმ დამპალი მისადგმელი კიბით, რომელიც აქ ალბათ „ცოფიანი ბატონის“ დროიდან იყო მიყუდებული. ყველაფერი თხუთმეტოლედ წუთში მოათავა.

ვალის ძალიან ციოდა და მოხარული იყო, რომ ყველაფერი ასე ნალე დასრულდა. მაგრამ სეროიყა ზედ მის სახეზე დაიხარა და საცილით ჩუმად უთხრა:

— შე კიდეც ერთი დამარჩა მარავად. მოიღი, დირექციონზე გავაკეთო!

— მერედა პოლიცია?

— მერედა სახანძრო კიბე?

მართლაცდა, სახანძრო კიბე მთავარი შესასვლელის მოპირდაპირე მხარეზე იყო მიდგმული.

— წაივლით,—უთხრა ვალიამ.

უკან სიბნელეში ისინი რკინიგზის ხაზზე დაემუნენ და დიდხანს მილიონდენ შპალებ-

ზე. ვალის მოეჩვენა: თითქოს ვერხნდებოდა ნაიაში მილიონდენ, მაგრამ ასე როდესაც სეროიყა სიბნელეში კატასავით შეტყობდა...

— თი, აქ არიშ, — წარბოსტევა მან, — ოლონდ მე მომყევი, თორემ მხარძარცხნით ფერდობი და პირდაპირ პოლიციელებთან, სკოლასთან ამოყვოფთ თავს...

პარკის ხეებში ქარი ზუზუნებდა, ერთმანეთს აჯახებდა შიშველ ტოტებს და ვალისა და სეროიყას ზედ ეცემოდნენ ტოტებიდან ჩამოვარდნილი ცივი წვეთები. სეროიყას თამბაშად, წრაფად მიჰყავდა იგი ხეივნიდან ხეივანში. ვალია მიხვდა, რომ უკვე სკოლას მიუახლოვდნენ, ისე ძლიერ შხაპუნებდა წვიმა შენობის სახურავებზე.

აი უკვე აღარ მოისმოდა რკინის კიბის რყევა, რომლითაც სეროიყა მაღლა აღიოდა. იგი არსად ჩანდა, იკვიანებდა... ვალია მარტო იჯდა სიბნელეში, კიბის ძირას. რა უემური და საშინელი იყო დამე ამ შიშველი ტოტების ერთმანეთზე მიჯახებისაგან გამოწვეული ხმაურით! და რა სუსტი, უშეშო იყვნენ დედამისი, თვით ვალია და პატარა ლუსია ამ ბნელსა და საშინელ სამყაროში... მამაკი, სადაა მამა? რა მოუვა მას! თუ დავებტება ახლა სადმე, უთავმესაფაროდ, ნახევრად ბრმა?... ვალიამ ნათლად წარმოიღვინა ღონის ტრამპლევის უხარმამარი სივრცე, აფეთქებული ძაღარობები, ნესტიანი პატარა ქალაქები და დაბები უშეშოდ, ამ თანდარმების ხელში... უკლებ მოეჩვენა: სეროიყა აღმარადეს არ ჩამოვა ამ წვიმით ახმურებულ სახურავიდან, და მამაკობამ უმტყუდა... მაგრამ სწორედ ამ წუთის შემოყვანა რკინის კიბის რყევის ხმა და მისმა სახემ ცივი, რალად დამოუტყდებელი გამომეტყველება მიიღო...

— შენ აქა ხარ?...—სეროიყა სიბნელეში იღიმებოდა.

ვალიამ იგრძნო ხელი გამომწოდაო, და თვითონაც მიკენ გაიშვირა ხელები. სეროიყას ყინულივით ცივი ხელები ჰქონდა, რამდენ რამეს იტანდა ეს გამბლარი ყმაწვილი,—ეს დავლუჯილი ფეხსაცმელი, რომლითაც იგი რამდენიმე საათის განმავლობაში დადიოდა ტალახში, ახლა ალბათ წყლით სავსე ექნებოდა,—ხოლო ამ ძველსა და მკერდზე გახსნილ დაკონიკლ ჯუტაში ხომ სულ ლოყინებოდა!.. ვალიამ ორივე ხელი ლოყებზე დაადო, მისი ხელებიც აგრეთვე ყინულივით ცივი იყო.

— სულ მთლად გაყინულხარ—უთხრა მან სეროიყას ლოყებზე ხელის მოუშორებლად.

სეროიყა მყისვე გაიტრუნა და ასე იდგნენ რამდენიმე ხანს. მხოლოდ შიშველი ტოტები

ეჯახუნებოდნენ ერთმანეთს. მერმე სერიოკ-კამ ჩაილაპარაკა:

— მეტს აღარ ვიტრიალებთ... ცოტა გავიწიოთ აქედან და ყორზე გადავხტეთ...

ვალთაბ ხელები მოაშროა.

ისინი ოღვის სახლისაკენ გაემართნენ იმ მხრივ, სადაც საპლინები ცხოვრობდნენ. უცებ სერიოკამ ხელი წაატანა ვალიას და უძაღვე ორივენი კედელს აეკრნენ. ვალიამ, რომელმაც ვერ გაიგო, თუ რაში იყო საქმე, ყური ზედ მიადო ტუჩებზე.

— ორნი მოდიოდნენ პირდაპირ. შეგვნიშნეს და შეჩერდნენ,— წასჩურჩულა სერიოკ-კამ.

— აღბათ მოგეჩვენა...

— არა, დგანან...

— მოდი ეზოში გადავხტეთ!

მაგრამ, ის-იყო შემოუარეს თუ არა სახლს საპლინების მხრიდან, სერიოკამ კვლავ შეახვრა ვალიას: იმ ორმაც სახლს მეორე მხრიდან მოუარა.

— აღბათ მოგეჩვენა...

— არა, კვლავ დგანან...

კომშეოების ბინის კარი გაიღო, ვიღაცა გამოვიდა და ზედ შეეხეჩა იმათ, ვისაც სერიოკა და ვალია ემალებოდნენ.

— ლებკა? რატომ არ შემოიხართ? — მოესმა ელვად ნიკოლოზის ასულის წყნარი ხმა.

— ფშ...

— ჩვენთანები ყოფილან! — სთქვა სერიოკ-კამ, ვალიას ხელი წაატანა და თან გაიყოლია.

სიბნელეში ლებკას წყნარი სიცილი გაისმა. ლებკამ და სერგო ლევაშოვმა გიტარით და სერიოკამ და ვალიამ, რომლებიც სიცილით იგულდებოდნენ, ერთმანეთის ბიძგებით შეირბინეს კომშეოების სამხარეულოში. ისინი ისეთი სველი, ტალბიანი და ისეთი ბედნიერი იყვნენ, რომ ბებია ვერამ გრძელი გამხდარი ხელები აღმართა და წარმოსთქვა:

— ამას რას ვხედავ, კეთილი ადამიანებო!

მთელ სიკვებელში არ ჰქონიათ მათ ისეთი ვახშამი, როგორიც ეს იყო ამ ჭრაქის შუქზე. ცივს ოთახში, იმ ქალაქში, სადაც უკვე სამ თვეზე მეტ ხანს ბატონობდნენ გერმანელები...

\* \* \*

ინათა თუ არა, უკვე ფეხზე იყო ბავშვებსა და ოჯახზე მზრუნველობას დაჩვეული დეიდა მარუსია. ფეხი ქოშში წაჰყო, საშინაო კაბა ჩაიცვა, ჩქარა გაახტრა ქუჩა და ჩაიღახინი დასდგა; მცირე ფიქრის შემდეგ მივიდა ფანჯარასთან, რომელიც უშენის მხარეზე გადადიოდა, ამ უშენის მხარმარცხნით მოსჩანდა საბავშვო საავადმყოფოსა და ვორო-

შოლოვის სახელობის სკოლის შენობები, მხარმარჯვნივ კი — გორკახე, რაიკომის კომისა და „კოდფიანი ბატონის“ შენობები, მარუსიამ უეცრად ოდნავ წამოიყვალა... ძალიან მოქუთრებულ ცაზე ძირს ჩამოწეულ, ნაფლეთბად გაფენილ ღრუბლებში, ვოროშილოვის სახელობის სკოლის შენობის სახურავზე წითელი დროშა ფრიალებდა. ხანდახან ქარი ისეთი ძლიერებით შლიდა ამ დროშას, რომ იგი მთართოვარე სწორკუთხედად იჭიმებოდა, ხან კი, როცა ქარი მინელდებოდა ნაოჭებად დაიკეცებოდა და მაშინ მისი ნაპირები ხან იხვეოდა, ხან ოდნავ იწელებოდა.

კიდე უფრო დიდი ზომის წითელი დროშა „კოდფიანი ბატონის“ სახლის სახურავზე ფრიალებდა. გერმანულ ჯარისკაცთა დიდი ჯგუფი და სამოქალაქო ტანსაცმლიანი რამდენიმე კაცი იდგა სახლთან, მისადგმელ ხის კიბესთან და დროშას შესცქეროდა. ორი ჯარისკაცი ზედ კიბეზე იდგა. ერთი იმ ადგილას, სადაც კიბე სახურავს ებჯინებოდა, მეორე — ცოტა ქვემოთ. ისინი ხან დროშას შესცქეროდნენ, ხან ქვეშ მდგომთ ესაუბრებოდნენ, მაგრამ რატომღაც ვერც ერთი მთავანი ვერ ბედავდა მაღლა ასვლას და დროშის ჩამოხსნას. ამ ყველაზე მაღალ წერტილზე, მთელი ქალაქის დასანახავად, დროშა ამაყად ფრიალებდა.

თავდავიწყებულმა დეიდა მარუსიამ ქოშები გადაჰყარა, სხვა ფეხსაცმელი ჩაიცვა, თავშელოც კი არ წამოუხტარავს, თავდაპირველად გაიქცა მეზობელ ქალთან.

კალერია ალექსანდრეს ასული პერანგის ამარა, ფეხებიდასიებული დაჩოქებული ფანჯრის რაფაზე, ხელები ჩარჩოებისათვის ჩაეგლო და აღტაცებით შესცქეროდა დროშებს. ცრემლი ღვარად ჩამოდიოდა გამხდარ შავ ლოყებზე.

— მარუსია! — თუხრა მან. — მარუსია! ეს ჩვენივე, საბჭოთა ადამიანებისათვის არის გაკეთებული! ჩვენ ვახსოვართ, არ დავიწყებებოთ ჩვენებს. მომი... მომილოცე... იდა ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

\* \* \*

წითელი დროშები ფრიალებდნენ არა მარტო „კოდფიანი ბატონისა“ და ვოროშილოვის სახელობის სკოლის შენობებზე, წითელი დროშები ფრიალებდნენ დირექციონსა და ყოფილ „რაიკოოპკავშირეზე“, პერგომასისკისა და დაბა კრასნოდონის № 12, № 7-10, № 2-ბის, № 1-ბის მალაროგებზე.

ხალხი ქალაქის ყველა მხრიდან მოდიოდა ამ დროშების საყურებლად...

შენობებსა და გადასასვლელ ჯიხურებთან გროვად იდგნენ ეანდარები, ისინი ფუსფუს-



სებდნენ, ხალხს ერეკებოდნენ, მაგრამ დრო-  
შების ჩამოსხნას მაინც ვერც ერთი მათგანი  
ვერ ბედავდა. ყოველი დროშის ქვეშ მიკრულ-  
ლი იყო თეთრი ქსოვილის ნაჭერი შავი წარ-  
წერით: „დანაღმელია“.

ვოროშილოვის სახელობის სკოლის სახუ-  
რავზე ასულმა უნტერ ფენბონგმა დროში-  
დან სხენის თანჯრისაკენ გაჰიშული მავთუ-  
ლი აღმოაჩინა, სხენზე ბულულის ქვეშ  
მართლა ნაღმი აღმოჩნდა.—ის შენიღბულიც  
კი არ იყო: არც ენდარმერიაში, არც ესე-  
სელთა რაზმში განაღმების მცოდნე კაცი არ  
აღმოჩნდა. ჰაუბტვახტმაისტერმა ბრიუჟენერ-  
მა მენაღმეთა ჩამოსაყვანად საოლქო ეან-  
დარმერიაში, როვენკში გაგზავნა თავისი მან-  
ქანა: მაგრამ მენაღმეები როვენკშიც არ აღ-  
მოჩნდნენ, ამიტომ მანქანა ვოროშილოვ-  
გარდა წავიდა.

ვოროშილოვგარდიდან ორ საათზე ჩამო-  
სულმა მენაღმეებმა სკოლის სხენზე ნაღმი  
განმუხტეს, ხოლო სხვა დანარჩენ ადგილებ-  
ში ნაღმი არსად არ აღმოჩნდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევო-  
ლუციის აღსანიშნავად კრანსოდონში წითე-  
ლი დროშების გამოკიდების ამბავი ელვისე-  
ბურად მოედო დონეცის აუზის ქალაქებსა და  
სოფლებს. უკვე შეუძლებელი შეიქნა გერ-  
მანელთა ენდარმერიის სირცხვილის და-  
მაღლა იუზოვკაში მყოფ ოლქის ფელდკომენ-  
დანტის გენერალ-მაიორ კლერისაგან. და აი,  
მაისტერ ბრიუჟენერმა მიიღო ბრძანება, რა-  
დაც უნდა დამჯდარიყო, აღმოეჩინა და დაე-  
პატიმრებინა არალეგალური ორგანიზაცია,  
წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება ეძლე-  
ოდა სამხრეებიდან ნიშნები მოეხსნა და  
ჯარისკაცად წასულიყო.

ცინიდან არაეთიარი წარმოდგენა არა  
ჰქონდა იმ ორგანიზაციაზე, რომელიც მას  
უნდა დაეპატიმრებინა, მაისტერ ბრიუჟენერი



მოიტყა ისე, როგორც მის ადგილას იქცეო-  
და ყოველი ენდარმერია და გესტაპო: მან  
კვლავ ჩაუშვა თავისი „წერილთვალის ბა-  
დე“, როგორც ამას ოდესღაც უწოდა სერგი  
ლევანოვმა. ამრიგად ქალაქსა და რაიონში  
ათობით უდანაშაულო ადამიანი დააპატიმ-  
რეს. თუმცა ბაღე წერილთვალის იყო, მაგ-  
რამ მასში „ახალგაზრდა გვარდიის“ არც ერთი  
წევრი მაინც არ მოჰყვა. გერმანელთა  
ვერ წარმოადგენდნენ რომ ორგანიზაცია შეხ-  
დებოდა ბიჭებისა და გოგონებისაგან.

თარგმანი კოლიო აბრამიასი



# ბიოლოგიის მიღწევები



30 წელი მეტად მცირე დროა იმ დიდ მიღწევებთან შედარებით, რაც მოიპოვებოდა საბჭოთა კავშირში. 30 წლის მანძილზე სრულიად გარდაიქმნა ჩვენი ქვეყნის ბალთა ცხოვრება, სრულიად ახალი საფუძველზე აღდგა მცენებრება. ჩვენი სამშობლოს განახლების საქმეს გულწრფელად გამოემადურნენ მეცენებრები. მათ შესთავაზეს თავისი ძალიანე და უნარი ლენინისა და სტალინის მიწოდებამ ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების მშენებლობაში ჩაბმის შესახებ.

მართა ბიოლოგიაც რომ ავიღოთ, მას იმდენად დიდი და მრავალი მიღწევა აქვს, რომ ძნელია მათი აღწერა და ერთ წერილში გადმოცემა. ბუნების-მეცნიერებაშიც მათი წილი ახალი ამუშავდა ლენინისა და სტალინის მიწოდებით, რომ ხელი შეუყობადა სოფლის მეურნეობის ახალი საფუძველზე მოწყობის საქმეს. ეკრაძლე, უდიდესი მუშაობა გასწიეს საბჭოთა მეცნიერებმა როგორც გარეული, ისე შინაური ცხოველების შესასწავლად.

გარეული მეთემურებიც ცხოველთაგან შესწავლელთა სამრეწველო მნიშვნელობის ცხოველები და ზღვრულად სოფლის მეურნეობის მცენე ცხოველები. საკმარისია თქვას, რომ მართლ მორწმუნეობის შესახებ დაიწერა რამდენიმე ასი მეცნიერული ნაშრომი.

ცხოველების ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა სარეწეო ნაღობების საქმის მძალიდ დონეზე აყვანა, ბეწვეულის ხარისხის უკეთ შესწავლა, ნაღობის წყისხის დადგენა და სხვ.

უდიდესი მიღწევები აქვს საბჭოთა მეცნიერებებს ფრინველების შესწავლის საქმეშიც. ეს მიღწევები ენება უპირატესად იმის გამოკვლევას, თუ რა და რა ფორმად არის გავრცელებული ჩვენი ქვეყანაში და როგორაა განაწილებული საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რომელია მათ შორის მეტურეობისათვის მავნებელი და რომელს მოაქვს სარგებლობა მცენე მწერთა განადგურებით.

ამ 30 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში დაწესდა მრავალი ნაკრძალი, სადაც შემინახულია და მრავლდება გადაშენების გზაზე დამდაბარ ბეჭი ცხოველი.

1917 წლამდის თითქმის სრულიად არ სწარმოებდა ძველი, განამარხებული ფრინველების შესწავლა. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში არქეოლოგიურმა გათხრებმა სხვა მასალასთან ერთად ბეჭი ფრინველის ნაშთები მოგვამოვა. ამ ამონათხარი მასალის შესწავლა, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს გეგმულ ძველ ფრინველებზე, სხვა საკითხებსაც ვფიქრობს. მავალითად, ომბოტის რაიონში ნაპოვნი ისეთი ფრინველების ნაშთები, რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ ტყიან ადგილებში ცხოვრება. დღეს კი ამ რაიონში ტყის ზონა უფრო სამხრეთით არის, ამის მიხედვით ირკვევა, რომ ტყის საზღვარი წინათ უფრო ჩრდილოეთით ყოფილა, ამნარად, ფრინველების განამარხებული ნაშთების პოვნით გეოგრაფიული საკითხებიც ირკვევა.

დიდი მიღწევები აქვს საბჭოთა მეცნიერებებს აგრეთვე მწერების შესწავლის საქმეში. სოფლის მეურნეობის უდიდეს მტერს მწერები წარმოადგენენ. ამიტომ საბჭოთა კავშირში დიდად განვითარდა, როგორც საერთოდ მწერების, ისე, განსაკუთრებით, იმ

მწერების შესწავლის საქმე, რომელიც ზარალს აყენებენ მცენარეებსა და ცხოველებს.

საბჭოთა კავშირის დიდი მიღწევები აქვს შინაური ცხოველების შესწავლის მხრივაც. სოფლის მეურნეობის ხუთწლიანი გვეგები მართა იმის კი არ გელისძიბობენ, რომ მრავალ მომწიფეს შინაური ცხოველები, არამედ იმისაც, რომ გავრცობს მათი ჯიშები, მრავალი სამეცნიერო დარგებულთა დაარსება ამა შინაურ ცხოველთა შესასწავლად და ჯიშების გასაუმჯობესებლად. ბეჭმა საბჭოთა მეცნიერმა ისახელა ამ მხრივ დიდი და გამოიყენა ცხოველთა გავრცობს ცხოველი, მათ შორის ღვასახელები მ. ფ. ივანოვს. მისი დიდი დამსახურება ისაა, რომ მან გამოიყენა ტრამპლის უკრაინული თეთრი ღორის ჯიში, ხანგრძლივმა დაყვრებამ დაარწმუნა მეკვლევი, რომ უკრაინის ტრამპლის კლმატურ პირობებში ინგლისური თეთრი ღორი კარგად ვერ გრძობს თავს, იჩაგრება. ადგილობრივი ჯიშის ღორი კი ამ პირობებში კარგად გრძობს თავს, მაგრამ მას არც ისეთი მაღალი ცხიმინობა აქვს, როგორც ინგლისურ ღორს და არც ისეთი დიდი იზრდება, მამასადაც ზორცსაც ცოტას აძლევს. მეცნიერმა ივანოვმა გადაწყვიტა ამ ორი ჯიშის შეჯვარებით მიეღო ისეთი ახალი ჯიში, რომელსაც კალკილონობრივი უკრაინული ღორის იმტანობაც ეწეწობდა და ამასთან ინგლისური ღორის კარგ თვისებებაც შეინარჩუნებდა. დღესამდე იმუშავა მეცნიერმა ამ საკითხზე, მრავალჯერ შეჯვარა ინგლისური და უკრაინული ღორი, ბოლოს მიეღო სრულიად ახალი ჯიში — ტრამპლის უკრაინული თეთრი ღორი, რომელსაც აღმოაჩინა ინგლისური ღორის ნიშნებაც და ადგილობრივი უკრაინული ღორის ნიშნებაც. ეს ღორი ახლა გავრცელებულია უკრაინაში და დიდ სარგებლობას აძლევს უკრაინის სოფლის მეურნეობას.

უდიდესი მიღწევები აქვს საბჭოთა კავშირში აგრეთვე ბოტანიკას. 30 წლის განმავლობაში მოეწევა



მ. ფ. ივანოვი



ო. ვ. მიურინი

მრავალი ექსპედიცია, რომელთა მიზანიც იყო მთელი საბჭოთა კავშირისა და მისი ცალ-ცალკე რაიონების მცენარეების შესწავლა, კავშირში შეძალად რესპუბლიკებსა და რაიონებშიც მუშაობენ ადგილობრივი მცენარეულობის შემსწავლელი გამოჩენილი მეცნიერები. მცენარეთა შორის დიდი ყურადღება ექცევა სოკოების შესწავლასაც. ეს გასაგებია არის, სოკოს მეთურნობის ერთი ძლიერი მტერი სოკოა. დღეს საბჭოთა კავშირში შესწავლილია მრავალი მანეთ სოკო და შემომავებულია აგრეთვე მათ წინააღმდეგ ბრძოლის ზერხები.

მაგრამ მეცნიერება მხოლოდ ველური მცენარეების შესწავლას როდი საჯრდება. სოკოს მეთურნობის ხელშეწყობის გეგმები იმისათვის სდგება, რომ იმატოს მოსავალმა და ამასთან ერთად გამოყენილ იქნას



ბ. ლ. ლინსამო

კულტურული მცენარეების ახალ-ახალი, გაუმჯობესებული ჯიშები.


განსაკუთრებით გაითქვა სახელი საბჭოთა კავშირში მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყენების ოსტატობით. მათ შორის პირველად უნდა დავასახელოთ

ო. ვ. მიურინი, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ი. ვ. მიურინი მუშაობდა მცენარეთა ახალი, უკეთესი ჯიშების გამოყენების საქმეზე ამიტომაც იყო, რომ ის ამბობდა: „ჩვენ არ შევფიქვლია ვეცადოთ ბუნების მოწყვალეობას; ჩვენი ამოცანა გამოართვათ მას იგი“. მართლაც, ბევრი რამ გამოართვა მიურინმა ბუნებას. ახალი ჯიშების გამოყენებად მიურინმა მიიპარა შეჯვარების ხარისხი მან შეისწავლა, თუ როგორ ვითარდება მცენარე და ამან შეეძლო ხელი ახალი ჯიშების გამოყენების საქმეში. მან მიაღწია ისეთი მცენარეების შეჯვარებას, რომლებსაც მანმის ვერ აღუარებდნენ, გამოიყენა რამდენიმე თვეული მცენარის ახალი ჯიშები. გარდა ამისა, გამოიყენა სოკოების აბრეშოვი ჯიშებიც, რომლებიც გაერკულდნენ სხილილოთის ისეთ რაიონებში, სადაც წინამათ მოყვანაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

მიურინის სიტყვებში „ჩვენ არ შევფიქვლია ვეცადოთ ბუნების მოწყვალეობას“, ამოჭმულა მრავალი სხვა მეცნიერიც. ის მოიუხდებდ იქცა იმ წვეთებთან, თვისს რომელთაც საბჭოთა კავშირში მოაღწიეს ახალი სახის მცენარეთა გაერკვლება, საუკეთესო ჯიშის ცხოველთა მოყვანება, მოსავალანობის გადიდება.

მიურინის მიმდევარი შორის ცნობილია ბ. ლ. ლინსამო. თუ განვიხილავთ ფიქრობდნენ, რომ ვეცადოთ მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყენებას, უნდა ვთავსებდეთ თვისსებები, რომელთა შეცვლა „ღამისში არ შეუძლია, დასჯემო მთელი ღია მცენარეების შეჯვარებაზე დამყარება, რომ აღმასს შეუძლია მცენარის შეცვლის ის თვისსებები, რომლებიც შეეძლებოდა უფროს თვისსებებზე გაკეთებული შეჯვარება, დიდი ხანის ცნობილი პირველი მცენარეების სავაზებელი და საშემოღობო ხარისხი. ერთჯერ და მერჯერ თავისებურ პირობებში მოიხიბეს მოსავლის მოსაყვამ. ბ. ლინსამომ ამ მცენარეთა შესწავლით და მათი ზრდა-განვითარების პირობების შეცვლით აღწია ამას, რომ საშემოღობო ხარისხის გაზრდაზე დათესვით მოაყვანა მოსავალი. ამის ყო დღი მნიშვნელობა აქვს მოსავლის გადიდებასათვის განსაკუთრებით ზოგიერთ რაიონში.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში კარტოფილი ყარად ვერ ხარისხ. სხილილოთიდან შემოტანილი სითესლ კარტოფილი პირველ წელს ყარდ მოსავალს იძლევა. შემდეგ წლებში კარტოფილის ტუბერები თანდათან წარბდება და, ამინარად, გადაყარდება ხოლმე. ბ. ლინსამომ შეისწავლა ეს საქმე და გამოარკვია კარტოფილის გადიდებების მიზეზი. გაზაფხულზე დათესილ კარტოფილზე გადიდების პირველი ნაბეჭარში ნიადაგში უჩნდება ღეროს გამონაზარდები, რომელთაც სტოლონები ეწოდება. ამ სტოლონების ბოლოში წარბდება ხოლმე საბამებლის მარაგი და ამინარად ვარმოიზობა ის, რასაც ჩვენ ტუბერს ეწოდებთ და რასაც საყვებად ვხამარობთ. ეს ტუბერები გაზაფხულზე დათესილ კარტოფილს სწორედ მანინ წარმოემოზა, რაცა გაზაფხულის დიდი სიციხეების, სწორედ ეს სიციხეები სწავარავს ტუბერებს და ისინი სუსტნი, განუვითარებელი რჩებიან. გარდა ამისა, როგორც სუსტნი,



ო. ს. პაშვაშვილი

აღივლიდა ავადმჯობენ სხვადასხვა ავადმყოფობით. ამის მიხედვით ტ. ლინკოვს სამხრეთ რაიონებში შე-  
მოიღო კარტოფილის თესვა არა ვახუშტულზე, არა-  
მედ ზუბუტლის მხარე სანჯვარში. ასეთ მიცენარეს  
სტალიონებს უყვარდება იმ დროს, როცა შემწიფებე-  
ლი სიციხეები აღარ არის. ამ პირობებში ტუბერები  
ნორმალური და ამტანი უფროარდება. ასე შეიძლება  
გადაფარხინოთ კარტოფილი სამხრეთ რაიონებში გა-  
დგეარებას.

ჩვენ მოვუყვანეთ ზოდინით მიღწევა, რაც მოიპოვა  
მეცნიერებამ სამკოთა კავშირში დიდი ოქტომბრის  
რევოლუციის შემდეგ და რის მიხედვითაც გაიზარდა  
სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა.

ბუნების შემწიფებელი მეცნიერება მარტო იმას  
თ არ შეისწავლის, რაც აღამიანს ვარს არტყია, ის  
შეიჭყლის თვით აღამიასაც. სამკოთა კავშირში  
აღამიანის შემწიფებელმა მეცნიერებამაც ძლიერ დი-  
დი ნაბიჯი გადადგა წინ, როგორც სამკოთა კავშირში,  
ისე მიუღ მსოფლიოშიც დიდად ცნობილია ფიზიო-  
ლოგ ა. ბ. პავლოვი, რომელმაც ბევრი რამ გააჩე-  
რებინა.



ო. ს. ბარიბაშვილი

ვია აღამიანის ორგანიზმის მოქმედებაში და, კერ-  
ძოდ კი, აღამიანის ნერვული სისტემის მოქმედებაში.  
სამკოთა კავშირში დარწმუნდა მრავალი სამეცნიერო  
დამსწრებულმა, რომლებიც განაგრძობენ ი. პავლო-  
ვის მიერ წამოწყებულსა და ძველდრ ნიადაგზე დაყრ-  
ნებულ მეცნიერულ მუშაობას.

ფიზიოლოგიის ძლიერი ინსტიტუტი არსებობს ავ-  
რეთვე საქართველოში, ამ ინსტიტუტს მეთაურობს  
სახელგაზეთი ქართველი მეცნიერი—აკადემიკოსი ა. ს.  
ბერიბაშვილი.

დიდი მიღწევები აქვს ბიოლოგიას სამკოთა ხელი-  
სუფლების დამყარების 30 წლისთავისათვის, ამ მიღ-  
წევათა საფუძველზე იპაზა მოსავალმა როგორც მემცე-  
ნარობაში, ისე მეცხოველეობაში, წავიდა ის დრო,  
როცა რევოლუციის წინააღობინდელი მიწის მუშა შე-  
ლოცით ფიქრობდა მოსაქველანობის დაძლევის, საბ-  
ჭოთა კავშირის მშრომლებს მომარჯვებულნი აქვთ  
ნამდვილი მეცნიერული ხერხები ბუნების დასამორჩი-  
ლებლად და თავის სასარგებლოდ გამოსაყენებლად.

პეკლე მხარეაველი

## ნორჩი მხატვარი

გამოუსახავს მის ლამაზ ხელებს:  
პეგილა, ბუჩქი, კურდღლის ბაჭია.  
ჩიტთა სახელებს ვინ გაიხსენებს,  
ჩიტების მეტი რა გააჩნია!

უკვე შეავსო სქელი რვეული  
ფოთლებით, მსხლებით,  
ყურძნის მტევნებით,  
შია არის ვაშლიც, სხვა ხილეულიც,  
ფინიაც ფისოს დანადგენები.

ეტყობა მოსწონს ღრუბლები, მთები,  
ელტვის ნუჯრებს და რქანაყარ ირემს.

აგერ შეასხა თვითმფრინავს ფრთები  
და დასვენებას აღარ აპირებს.

დაფიქრდა. ნეტავ რა მოისურვა?  
საქმის დროს ფიქრი სჩვევია მუდამ;  
უმშერს საყვარელ ბელოდის სურათს.  
აღმათ ბელოდის დახატვა უნდა.

ფანქარს შეახო ფუნთუშა ხელი,  
აუჩქარებლად დაიწყო ხატვა,  
და სიხარულით ბეჯითი ნელი  
უკვე ისრულებს დიდი ხნის ნატყრას.

პეკლე მხარეაველი

# პიონერი ძეგლები



აგვისტოს მიწურულის მშენიერ მზიან დღეს ბათუმის მთელი ახალგაზრდა მოსახლეობა გააოცა არაჩვეულებრივმა სანახაობამ. მართლაც საოცარი იყო, რომ ქალაქის ქუჩებში მოძრაობდა თბომავალი, ღია ნაცროსფრად შეღებილი ნამდვილი თბომავალი, რომელსაც ჰქონდა ყველა შესაფერისი ნაწილი და მოწყობილობა: ხრახნებიც, ხერხემალიც, სამანქანო ვანყოფინებაც, ახალი მოელვარე ილუმინატორებიცა და კაპიტნის კაბუტაც. თბომავალი პიონერთა პარკისავენ მიემართებოდა. ახალგაზრდები თვალს არ ამორებდნენ თბომავალს. ახლოს რომ დაეკვირდნენ, დანახეს, რომ იგი თავისთავად არ იძროდა, არამედ, მაგარი ძელებისაგან შეკრულ ვეებერთელა ციგაზე დადებული, ორ მარჯვენ ტანგეტს მოჰყავდა, მაგრამ სურათი მაინც უცნაური და არაჩვეულებრივი იყო. ეს სანახაობა საიდუმლოებას არ შეადგენდა მხოლოდ პიონერთა იახტ-კლუბის წევრებისათვის, რომელთაც გამოიცნობდით თეთრ მანსურებზე გაკეთებული აღოსფერი წარწერით „იახტ-კლუბი“ და რომელნიც თბომავალს გარშემო ფუსფუსებდნენ. თბომავალი გემოსაშენ ვერფში ააგეს ბათუმელ პიონერთათვის და მას საამაყო სახელწოდების წარწერა „პიონერი“ ამოყენეს.

პიონერთა დიდი დღესაწაული იყო თბომავალ „პიონერის“ ჩაშვება ტბაში. მის ეკიპაჟში შედის 16 კაცი: კაპიტანი, მესაქი, მესაქიგნალე, რადისტო, მოტორისტო, ბოცმანი, მეზუფეტე და მატროსები. დაწესებულია ფორმა: გრძელტოტებიანი შარვალი, მუქი ხალთი, უწინაფრო ქუდი. თბომავლის ტბაში ჩაშვების დღეს გაიმართა მასხლიფე სეირნობა, ყველა პიონერთა და მოსწავლეთა პარადი და პიონერული ფლოტის პარადი.

ბათუმის პიონერთა იახტ-კლუბი პირველია საბჭოთა კავშირში. იგი მიმდინარე წლის მასში დაარსდა. მისი ადგილსამყოფელია ბერიას სახელობის პიონერთა პარკი, რომელიც ქალაქ ბათუმის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ეს პარკი გაშენებულია წარმატება ტბის ნურბე-გელის გარშემო. მისი მშენებება ვიკანტური მაგნოლიები და

ეკალიბტები, სურნელოვანი ოლენდრი და პეტუნია... პარკში მთელი დღე ეღერს მუსიკა. აქ არის რადიოკვანძი, და მზრუნველი ხელი ზედზედ სცვლის ფირფიტათ. პარკში დიდიდან საღამომდე შეგიძლიათ დაპყობო და დროს მშენიერად გაატარებთ. აქ არის სამკითხველო, ზოოლოგიის კუთხე სხვადასხვა ნაღობით, ფრინველითა და ქვეწარმავალით, ელემტროკარუსული, ჩოგბურთის, ფრენბურთისა, კალათბურთის მოედნები და მრავალნაირი სხვა საინტერესო ვასაობათი. მაგრამ ყოველივე ამას ჩრდილავს პიონერთა იახტ-კლუბი. ტბის ნუვსადგურში ოთხი იახტა დვას — „ზოია კოსმოღმინასკაია“, ისრაფილ ჯინჭარაძე“, „კომკავშირელი“ და „ოქტომბრელი“. თითოეულ იახტს მომსახურებას უწევს ეკიპაჟი, ხუთი პიონერისაგან შემდგარი—მესაქე, მესაქის თანამშრომელ და სამი მატროსი. ისრაფილ ჯინჭარაძეს მესაქეა ოტე გელახაროვილი, მე-3 სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე, იახტ-კლუბის იმედი და სამაძე.

27 ივლისს, სამხედრო-სახლავო ფლოტის დღეს გამართულ შეჯიბრებაში გულ-ზარბილის გემმა პირველი ადგილი დაიკავა და პრიზი მიიღო.

იახტ-კლუბში მუშაობს ორი სექცია—ილქანი და ნიჩაბი. სექციის ხელმძღვანელი, ძველი მეიალქნე და ნაოსნათა და ფიზკულტურელთა მწირონელი ანასტას გიორგისძე მესაქესა იახტ-კლუბის წევრებისათვის ყოველდღე აწყობს პრაქტიკულ მეცადინეობას, ხოლო კვირაში ორჯერ თეორიულ მეცადინეობას. ბავშვები პრაქტიკულად სწავლობენ იალქნის სწორად დაყენებას, იახტების მომზრუნეობას და ერთმანეთისაგან დაშორების ხელოვნებას, ყველა სახის რემონტს, შეღებვას, იალქნის ეკრვას, მის აღკაზმვას და სხვა თეორიულად ისინი ეუფლებიან იახტის აღნავობას, ეცნობიან სხვადასხვა ტიპის იალქნის გემებს, იახტის აღმურავლობას (ნიჩაბი, იალქანი, სტექსელი, გაფალი) და ნაოსნობის სხვა დეტალებს.

„დირეგტორ“ და „გორდელ გროტ“ ან „ბეილივეინდ“, „გალფეინდ“ და „ბავშტაგ“-ეს უცხო და გაუგებარი სიტყვები ბუნებრივად ისმის, როცა მათ წარმოსთქვამენ ისეთი ხაცალი მეზღვაურნი, როგორიც არიან კოტე გელაზხარიშვილი, ვლადიმერ შუბოლდეროვი, კონსტანტინე ვარდანიშვილი, ვლადიმერ დილიძე და მათი ამხანაგები. ყველა ეს „მსცოცანი“ მესაქენი 13-16 წლის არიან და ჯერ საშუალო სკოლის მე-7 კლასი არ დაუმთავრებიათ, ასევე: იახტ-კლუბის ფრიადოსანი მატროსები არიან ათი წლის სურგი დოლიძე — ვლადიმერის ძმა, ლადო მითაიშვილი, მკვირცხლი, ჩასკენილი ბიჭი, თენგიზ გელაზხარიშვილი — სახელგანთქმული კოტეს ძმა და სხვები.

წრვეანდელ სეზონში ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე იყო 29 აგვისტო. ამ დღეს ოთხივე იახტამ პირველად მიიღო ნათლობა მარიალიან წყლებში — ისინი ზღვაში გავიდნენ.

ღრუბლიანი დღე იყო. ქარი ზან ამოვარდებოდა, ზან ჩადებოდა. პირველმა იახტამ ილქანი აუშვა, თითქოს ფრინველით — თეთრი ფრთა ააუღვარა და ზღვაში შევიდა ლამაზი „ზოია“. მას ლურჯი ზღვის სივრცეში კვალდაკვალ მიჰყვნენ დანარჩენები. ყველაფერი მშვენიერად მიმდინარეობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ნორჩმა მეზღვაურებმა ზღვის ავადმყოფობის მკურნალები ნიშნები იგრძნეს, რაც, თუმცა,

ეაქციურად გადაიტანეს. უკან დაბრუნებისას კი ახალგაზრდა მეზღვაურებს მარიალიან მარიალიან მუშაობა დასჭირდათ, რადგან მარიალიანის დინება იახტებს ზღვაში აბრუნებდა, ხოლო თანამგზავრი ქარი აღარ ჰქროდა, რის გამოც ქორიხის დინების შემოვლა მოუხდათ.

სექტემბერში მოეწყო დიდი საბოლოო შეჯიბრება სეზონის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად.

პიონერთა პარკის დირექტორი აკაკი კონსტანტინეს-ძე ქავჭავანიძე მუდამ საქმეზე ფიქრობს. მას განზრახული აქვს პარკის გაფართოება, ტბაზე კომპლურის აგება, ყველა კუთხის რადიოფიკაცია, თბოსადგურის დადგმა ბაღში სინათლის ეფექტების შესაქმნელად, ტბის შეერთება ზღვასთან არხით, ახალი თეატრისა და კლუბის შენობის აგება და სხვ.

ახლა იგი ახორციელებს ფიზკულტურის მოედნის რეკონსტრუქციას, რომელიც ომის დროს გაჩანადგა. აქ მოეწყობა მოედნები ყველა სახის სპორტისათვის.

პიონერთა იახტ-კლუბის მოწყობა, იახტებით სვლა, თბომავლის მართვა და მომსახურება, ნაოსნობის საფუძვლების შესწავლა უკვე უბრალო ვართობა როდია. ეს მტკად საჭირო და საინტერესო საქმეა, რომელიც აწრთობს ახალგაზრდის სხეულსა და ნებისყოფას, ზრდის მომავალ უშიშარ საბჭოთა მეზღვაურს.

**გვამანა აპალიანი**

## ს ა მ შ ო ბ ღ ო

გულმკერდი მაქვს მოხატული  
 აღმასით და იაგუნდით.  
 ჩემს გმირების სადიდებლად  
 ჰე სიმღერავ, აგუგუნდი!  
 აგუგუნდი და უმღერე  
 ვინც ამგვარად აღმაშენა,  
 ვინც დაუღო საძირკველი  
 ქარიშხალში ჩემს გაჩენას.  
 ვინც ჩემს მკერდზე გაიფლავა —  
 სხივთა შუქი დააფინა  
 და იქ ჩემდა სასახელოდ  
 არწივები ააფრინა.

დიდი აზრით, დიდ ავდარში  
 ვინც იცავდა საქმეს მართალს  
 და დღეს, დიად მშენებლობის  
 კვლავ უმძღავრეს საჭეს მართავს.  
 კვლავ, რომ შუქი მოაფრქვია  
 ჩემს ბაღნარსა და ჩემს ყანას,  
 კვლავ, რომ ნათელ სიხარულის  
 მწვერვალამდე ამიყვანა  
 ვამბობ, გულმკერდმოხატული  
 აღმასით და იაგუნდით:  
 დიდ ბელადის სადიდებლად  
 ჰე სიმღერავ, აგუგუნდი!

**გიორგი ლეჟავა**



# მათი ცხოვრების



თბილისში შემოდგომის დღეები ხალისიანი, ოდნავ მწრთაღი და მშრალი იყის, საღამოები საგანძობლად გრილი და სახურ. თბილისის განათბულები მაუბნობდა ამ დროს საქაიან ადამიანებსაც სკოლებში. ბოდ და სასიეროდ იწყებს ადისცენ. ერთ ასეთ საღამოს კომკავშირის ბერიას ჩაიკომიდან ქუჩაში მზიარული სურათი გამოვიდა ვეთა პირველი ისწავლო სკოლის პირველია ვეფერი. ქუჩაში გამწვლული უბრალო თვითელი ცხადად ატყობდა, რომ მათ ცხოვრებაში ჩაიკვ სანახარო მომზადარყო. მართლაც არ ცდებოდა გამწვლული თვითი. ამ ბიჭების ცხოვრებაში ახალმა, ნათლმა სიხშირე შეიპყრო: ისინი, დიდი ოქტომბრის რევოლუციის 30 წლისათვის დაიკავებოდა, როგორც წარჩინებული პიონერები, სკოლის კომკავშირის კომიტეტში მიიღო და ამ საღამოს მათი მიღება კომკავშირის ჩაიკომის ბიჭობამ დაამტკიცა.

— მაშ, დღევანდელ სრულწლებიანი კომკავშირებელმა ვართ არა, ბიჭებო! — სიტყვა დიდიხალი ერთმა მალაქმა უწყალებდა და თავის წიგნად უყვასხვეც დახედა.

— რა სინანული დაიკვირდი, ნოდარ, მე ვუყვასხვეც! გინების მისახლა! — შეხიზნა მას შევეფერებნა ვიგმა, რომელსაც ხელში ვჭრა წიგნი — როგორ იწრითობდა ფოლადი.

— არა, შოთა, მადლობის გრანობით დავებედი, ჩვენ ხომ ამ უყვასხვეცის ღირსწვლად ტარებთ ვაშო ვახუშტი კომკავშირებლები!

— მართალია... და იკით ამ უყვასხვეცს რომ მივთავსო, კარგად უნდა შევიინახო ჩვენი კარგი პიონერობის მოსაგონებლად, — სიტყვა მათ გვერდითი მისაქალა ანწრამა.

ამ საღამოსათვის საბავაროწინებელმა მეგობრებმა დებს აუტყარეს და ქუჩის მოსახვეში მიიპაღენ.

ერთი თვის შემდეგ ასევე საუბრობდნენ კომკავშირის ჩაიკომიდან გამოუსული ქალთა მეორე სასწავლო სკოლის სახეგანძობელმა მოსწავლენი თინა წერეთელი, ნანი იმედაშვილი, ლამარა ჩაკვიანი, თამარ კულუხივი და ტრუფა დოლიძე. პიონერულ ორგანიზაციაში მათთვის წარმოადგენდა პირველი სახეგანძობის სკოლის, სადაც ისინი საბჭოთა პარტიოტებად იზრდებოდნენ. ისინი პიონერულ ორგანიზაციაში ემსახებოდნენ კომკავშირში შესასვლელად. მაგარა განა მარტო უფრო დანახებულბო პიონერ მოსწავლენი იყვნენ. ბედნიერნი, რომლებმაც მოიპოვეს უყვასხვეც კომკავშირში შესვლადეფენი. ახლა, ჩვენი ორგანიზაციის მზავალი პიონერ-მოსწავლე შეხვდა ოქტომბრის რევოლუციის 30-ე წლისათვის კომკავშირულის სახელით. ამათ რიცხში გუთავის ჩვენ მიერ დანახებულბო სწავლის წარჩინებული კიბეები და თბილისის ვეთა პირველი სასწავლო სკოლის მოსწავლენი გიორგი ანდრონიავილი, ზურაბ დიდიძე, ანზორ დვლი, ნოდარ კანდელიძე, შოთა მიკვაშვილი. ამ პეიევი კიბეებისა და ვეფების წარმატება ყოველ სასწავლო საგანში ოთხებოთა და ხუთებით აღი-

წინა პიონერული ორგანიზაციაში ისინი აქტიურად მუშაობდნენ, ღირსწვლად ატარებდნენ წითელ უყვასხვეცს და პიონერულ საშეკრებ ნიშანს.

# ახალი სხივი

სხვადასხვა დროს ბევრი მათგანი! პიონერული რეკონის ხელმძღვანელი და რასწავლის შტაბის უფროსი იყო. როგორც ყოველ წარჩინებულ პიონერ-მოსწავლეს სწევია, ისინი მარტო სასწავლო საგნების სწავლას რადი უყვარებოდნენ — კითხვობდნენ მხატვრულ ლიტერატურას, როგორც ქართული მწერლების, ისე რუსი აწერებლის ნაწერებს, უცხო ენებიდან თარგმნილ მოთხრობებსა და ლექსებს, კითხვობდნენ მეცნიერულ-პოეზიარულ წიგნებს და დაუღალავი შეკადნიერებით დღითი დღე ავტორობდნენ თავიანთი ცოდნას. გამოწერდნენ აქვე ვახუშტი „წინააღი ოდინიგო“, „პიონერისათვის პრავდა“, ვერხვინსკი „პიონერა“ (ქართული და რუსული), „ღრუნვე რეზიანა“ და სხვ. მუშაობდნენ სასკოლო წრებში, ნახვლობდნენ მათთვის შესაფერ კსკტაქალეზა და კონსოლურობებს. ამასაც არ სურდა ეღიანეს ისინი პოეზობდნენ დროს და მონაწილეობას იღებდნენ პიონერობა და მონაწილეობა სახალისი საქმიანობაში, მუშაობდნენ იქ იხიბულ წრებში. მავალიადი, გიორგი ანდრონიავილი პიონერობა სახალისი ვეგორათიულ წრეში მუშაობს, თინა წერეთელი — ქივის წრეში, ზურაბ დიდიძე — ფიზიკის წრეში, ტრუფა დოლიძე — ლიტერატურისა და მხატვრული კითხვის წრეში, ანზორ დიდი — აღმინისტია ოდინიგო...

ეს წარჩინებული მოსწავლენი ერთიანია სიყვარულითა და წარმატებით ითვისებენ სასწავლო საგნებს, მაგარა თვითველ მათგან მინიკ აქვს თავისი საფარტლო საგანი, რომლის მსხვედითი აქვდაწვად საღვრების მომავალ სპეციალობის მავალიადი, თამარ კულუხივის სურს ეკიმი ვახდეს, ნანი იმედაშვილს — ლიტერატორი, ლამარა ჩაკვიანს — რეჟისორი, ხოდაც კანდელიძე — მათემატიკოსი...

ცხოვრება მავალიადეფობანა, ადამიანთაგან მრავალგვარ საქმიანობას მოითხოვს, ჩვენ წარჩინებულ პიონერ-მოსწავლენიც სურთ მომავალზე მრავალფერობინად — სხვადასხვა სპეციალობით ემსახურან ხალხს.

დიდი ოქტომბრის სოკილისტური რევოლუციის 30-ე წლისათვის წინა დღეებში ბევრ წარჩინებულ პიონერ-მოსწავლეს აუხდა ოცნება — გამზადარყო კომკავშირული ოდინიგო წრეში. ოდინიგო წრეში, რომელიც შრომისა და სწავლის წარჩინებულთა წარმომადგენლობითი ზრდის თვის რიცხებს, უფროს მასაგითი შეხვდა მათ და სიყვარულით ავადო კარო, ვახდა ისინი თავიანი საქმიანი, ახალგაზრდათა კომუნისტურად აღმზრდელი ოჯახის წევრება.

მათი მშობლები, აღმზრდელები, ხელმძღვანელები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ზრდილი, სწავლის წარჩინებულ ასალგაზრდები ოდინიგო კომკავშირში შესული კიდევ უფრო მერე მასებისმეგობრობით მოკიდებენ წიგნებსა და შრომის და ღირსწვლად ატარებენ კომკავშირულის საამაგოს სახელს.

გორის ბეთანალო



წინა პიონერული ორგანიზაციაში ისინი აქტიურად მუშაობდნენ, ღირსწვლად ატარებდნენ წითელ უყვასხვეცს და პიონერულ საშეკრებ ნიშანს.



# თედო რაზიკაშვილი

წელს შესრულდა ოცდახუთი წელი ცნობილი საბავშვო მწერლის თედო რაზიკაშვილის გარდაცვალებიდან. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო საბავშვო გამოცემლობამ გამოსცა მწერლის მოთხრობების სრული კრებული, რაც ჩვენი მოზარდი მკითხველებისათვის კარგ საჩუქარს წარმოადგენს.

რაზიკაშვილთა სახელოვანი გვარიდან კამოსულ პოეტურ სამეულში თედო ყველაზე უმცროსი იყო, თედო რაზიკაშვილი—ავტორი მშვენიერი ლექსებისა და საბავშვო მოთხრობებისა — იმავე დროს ცნობილია როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ბეჯითი შემკრები და შემსწავლელი.

თედო რაზიკაშვილი თავის მოთხრობებში მეტწილად ალეგორიულ ფორმას მიმართავს. მისი „ნიბლია“, „იის ამბავი“, „კოდლა“, „ფითრი“, „ცირცელი“ და სხვა მოთხრობები ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს იმგვარად გადმოგვცემენ, რომ მათში ცხოველი ალეგორიების სახით ნათლად ვგრძნობთ ადამიანთა საზოგადოების დამახასიათებელ მოვლენებს.

თედო რაზიკაშვილის ეს თავისებურება ჰქონდა მხედველობაში აკაკი წერეთელს, როცა სწერდა:

„... პატარა ბოტანიკური მოთხრობა „ფიქრი“ თ. რაზიკაშვილისა, როგორც ხელოვნების მხრივ, ისე თავისი კილოთი გამტკიცებას ახალგაზრდა გრძნობა-გონებისა და აზროვნების დიდად საგულისხმევროა დიდებულთათვისაც. არ გვინდა ამოვწერათ შინაარსი, რომ არ დაეამახრჯოთ, ვერჩევთ ყველას თვითონ წაიკითხონ. აქ არის გამოხატული ჩვენი ქვეყანა და ძველთაგანვე მის გულში შემოხიზნული ერი. ეს არის ისტორია ჩვენი ცხოვრების და იმავე დროს ებრაული წინასწარმეტყველება მომავალზე. და ვინც გულდაღებით წაიკითხავს, ჩვენთან ერთად იტყვის: მადლობა ღმერთს, ახალი ხანა დგება ჩვენი მწერლობაში და მისი განთიადიც მოახლოვებულია“.

აკაკი წერეთლის მიერ თედო რაზიკაშვილის შემოქმედების ეს მაღალი შეფასება მეტად საგულანძობია.

არანაკლებ წარმატება რაზიკაშვილის მეორე ლირიკული მოთხრობა „მურია“. იგი ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა.

თედო რაზიკაშვილი მთელი თავისი შემოქმედებით, თავისი მოღვაწეობით ზრდიდა და განამტკიცებდა სამშობლოსადმი სიყვარულის უწმინდეს გრძნობას. ენებოდა რა პატრიოტიზმის საკითხს, იგი სწერდა: „ბევრჯერ დავეფიქრებოვარ ამ საკითხს, ბევრჯერ მიმტყრევია და მიფათურებია ხელები ჩემს გულში, მაგრამ შემთხვევამ სხვადასხვამ დაძაწუნა, რომ სხვისა სამშობლო ჩემს სამშობლოზე ნაკლებ არ მყვარებია, თუ ეს ქვეყანა ჩემს ქვეყანასათვის უბედური და გაჭირვებული ყოფილა. კაცს, ჩემს ფიქრით, თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს მთელი ქვეყნის სიყვარული, როგორც სიცოცხლისა. სიცოცხლეზე კარგი არა ექნება არა კაცს, და რადგან სხვისა ქვეყნის შვილებს უყვართ სიცოცხლე, მეც მიყვარს იმათში ეს სიცოცხლისა და მზის შუქის სიყვარული“.

როგორც ვხედავთ, მისი პატრიოტიზმი გამოთბარი და გაშუქებულია ინტერნაციონალიზმის ღიად გრძნობით.

თედო რაზიკაშვილი დაიბადა 1869 წელს. ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში მწერალი ასე ივსოვს თავისი ბავშვობის წლებს: „დედაჩემი მიღღარი ფანტაზიის იყო. უბრალო რამეს ისეთ ამბით, ისეთი ფერადებით შეხავებულს გადმოგვცემდა, რომ იხიბლებოდა მსმენელი. ის რომ დევებზე ან ეშმაკებზე, მოჯალაფებებზე დაიწყებდა არაბრაქს, მე სალდაც, მოჯალაფებულ არასებულ სამეფოში ვადამიტაცებდა ოცნება და ჩემი თავი მნახველ-გამგონელ მეჩვენებოდა... როცა გვიამბობდა რამე სამწუხარო ამ-



ბებს, თან ტროდა ხოლმე. იმისი ბიძა იყო ძალზე განთქმული ფშაველი მოლექსე ზარასკევა. ჯერ იმაზე კაი მოლექსეს ფშავეში არ იტყვიან“.

აქედან სიხანს, თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა დედის თავის შვილებზე—მომავალ პოეტებზე — ვაჟა-ფშაველაზე, ბაჩანასა და თედოზე. „ოჯახის გავლენას, — განაგრძობს თედო,—დამატა მეტად სიმპატიური გავლენა ჩვენი ქართული ენის მასწავლებლის ნ. ლომათრისა. ამაზედ მეტი საკეთილო გავლენა არა მგონია კაცმა კაცზე იქონიოს. ჩემი ველური ბუნება იმისმა ღვთიურმა მოქცევამ დააღბო და გააბატონა... მოთხოვნების წერა სწორედ ნ. ლომათრისა დამაწყებინა და ძალიან მახალსებდა და მაქებდა“.

1889 წელს თედო რაზიკაშვილმა წარჩინებით დაამთავრა გორის სემინარია. 1890 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ის დანიშნა ხელთუბნის სკოლის მასწავლებლად. ამავე ხნოდ იწყება მისი ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა. 1890 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი ევრნალ „ჯეჯილიში“.

თავისი უფროსი ძმა ვაჟა თედოს გატაცებით უყვარდა. თედომ 1901 წელს ლექსი მიუძღვნა ვაჟას, ამ ლექსში პოეტის ბედი მან კლდის თავზე მდგომარე არყის ხეს შეადარა. თედო შემდეგში ხელთუბანში დასახლდა. ვაჟა-ფშაველა მისთვის მუდამ საპატიო სტუმარი იყო.


1905 წლის რევოლუციამ თედო რაზიკა-

შვილის შემოქმედებაში სათანადო გამოძახილი ჰპოვა. ამ ხანებში დასწერა მან „ცხრილის სიმღერე“, „ხავსი“, „ყორანი“ რევოლუციის წინ იგისწერდა: „მძულს დახვასებული ცხოვერება, ხავსისაგან შექმული და გაბეჩავებული“; მინიატურაში „გაზაფხულის სუნი“ მწერალი ენძელებს მიმართავს: „გზის პირებზე მახარობლებივით ამომქვრალხართ! ალბათ, ძალიან და ძალიან სასიხარულო ამბავი მოგაქვთ რამე, რომ საუკეთესო და ძვირფასი სამოსლით შემოსილხართ და ფერად სამკაულებით მორთულხართ? ნეტა რას მეტყვით, რის მახარობელი ხართ? იქნებ გაზაფხულისა! და თუ მართლა გაზაფხულის წინამორბედნი ხართ, მოგესალმებით, მშვენიერებო, მშვიდობა თქვენს მოსვლას“. ავტორი აქ გაზაფხულად რევოლუციას გულისხმობს.

რაქციის მიმე წლებმა თედოს გული ვერ გაუტეხეს. მისი ნოველა „მოვლენ, მოვლენ“, კვლავ იმედის შუქით იყო განათებული. ლექსში „შურისძიების ხმა“ პოეტი მკითხველს მოუწოდებდა — რევოლუციისათვის დაცემულ გმირთა სისხლის ადგება საჭიროო. მგრანობიარე ლირიკულ სტრიქონებს უძღვნიდა იგი ხალხის საქმისათვის დღეობულ გმირებს.

თედო რაზიკაშვილი ვარდიცვალა 1922 წლის 19 იანვარს, სოფელ ხელთუბანში. დასაფლავებულია თბილისში, დიდუბის მწერალთა პანთეონში.

ლადო შავათაძე





# ბროლია და თოლია

მგელმა მინდვრად მწყემსებს კრავი მოსტაცა და ძუნძულით ტყისკენ გაარბენინა. მწყემსების ორი ნაჯახი — თოლია და ბროლია მტაცებელს დაედევნა. როცა მგელი ტყეს უახლოვდებოდა, თოლია წამოეწია მას, ეცა და კრავი პირიდან გაავლებინა. დასისხლიანებული მგელი ღმუილით ტყეში შებარბაცდა. თოლია ძირს დაგდებულ კრავს დააქექრდა.

— მოდი მე შეეკვამ, სულერთია, მაინც მგელს დააბრალებენ. — სთქვა თოლიამ და კრავს კისერში პირი ჩაავლო; ამ დროს ბროლიაც მოვიდა. შედგა და თვალებს არ უჯეროდა, როცა თოლიას მსუნავობას შეხედა.

„გინდა მგელს შეეუქამივარ, გინდა მგლისფერ ძაღლს“, ალბათ, ამაზე იტყვიან ადამიანები, — გაიფიქრა კეთილმა ბროლიამ. სწრაფად დაუნდობელ თოლიას თავზე დაახტა და ბასრი კბილებით იქვე დაფლითა, ხოლო სიყვილს გადარჩენილი, შეშინებული კრავი პატრონს მიუვრბენინა.

ქ. გოგიაშვილი

## შინაარსი

მ. ლებანიძე — საყვირო პიონერისა (ლექსი)	33.	1
ი. მელქაძე — როგორ მხადდებოდა და გვი- მარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ (წერილი)	2	
ი. გრიშაშვილი — სიმღერა მეომრისა (ლექსი)	6	
მ. კვიციანი — საჩუქარი (მოთხრობა)	7	
წითელი დროშა	10	
ლილია მეგრელიძე — ავთანდილის ახალი მეგობარი (მოთხრობა)	12	
ს. მიხალკოვი — ჩემი მეგობარი (ლექსი)	15	
გ. ზარდალიშვილი — ახალი ქალაქები (წე- რილი)	16	
ა. ფადიცი — ახალგაზრდა გვარდია (ნაწყვეტი)	19	

3. მეტრეველი — ბიოლოგის მიწვევა (წერილი)	23
3. ყურული — ნორჩი მხატვარი (ლექსი)	25
ტ. ავალიანი — პიონერი მუშაკურები (ნარ- კვეთი)	26
ა. ლივაჯა — სემზოლო (ლექსი)	27
ბ. ბეთანელი — მათი ცხოვრების ახალი სხევი (ნარკვეთი)	18
დ. შამთავა — თელი რაზმკამელი (წერილი)	30
ქ. გოგიაშვილი — ბროლია და თოლია (რეცე) გასართობი	32
ოქტომბრის ზეიმი თბილისში (ფოტოალბომი) ტაკია რ. კოფოლისა — გარეულის მე-4 გვ.	33

გარკანზე „პიონერები ოქტომბრის ზეიმი“  
ნახ. ა. კიკოლაშვილისა

ქურნალის ამ ნომერს დართული აქვს  
3. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ფოტოსურათები.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. კახაიძე**

სარედაქციო კოლეგია: **ი. აბაშიძე**, აკად. **ნ. ბერძენიშვილი**,  
**შ. გვინიძე** (პ.მ. მდივანი), **ვ. ვარდაშვილი**, პროფ. **ვ. თავზიშვილი**,  
**ს. კეცხოველი**, **პ. მეტრეველი**, **ნ. ნაკაშიძე**.

ფე 14098 ტირაჟი 7.000 გამოც. № 112 სტამბის შეკეთა № 1463  
ბერკას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28. ყურნალის გარეკანი დაბეჭდილია  
სახელგამის ცინკოგრაფიით.

№ 7

ალ. საინჟინოლის გამოცანები

1. კალამი, 2. ხაფანგი,

№ 8

გამოცანები

1. ნაშვალი, 2. ცოცხი, 3. კაქრტხი, 4. დედის რძე, 5. ნახშირი, 6. თევზები, 7. მარილი.

კროსვორდი

ვერტიკულრად

1. ქორი, 2. მუსიკა, 3. ნიგარა, 4. ამერიკა, 5. ფანჯარა, 6. სტეფანი, 7. ილი-სეა, 8. ილია, 13. ატომი, 14. ლამაზი, 16. ვენესუელა, 17. ინვენტარი, 18. არაჩატი, 19. გრდელი, 20. ტაივა, 21. ლობიო, 27. ისტორია, 28. ბეთანია, 29. მარულა, 30. კრახანი, 32. ალუზანი, 33. აფრიკა, 34. ამეზა, 35. კალია, 39. როზი, 40. მითი.

ჰორიზონტალურად

1. ქაშახა, 5. ფოსფორი, 9. რუსთაველი, 10. ვანდელი, 11. აკილი, 12. პრა-ლა, 15. ავსტრალია, 22. არაბეთი, 23. ამერიკი, 24. ალი, 25. ბოა, 26. გრადუსი, 28. ბატყანი, 30. კალი, 31. აზია, 36. მარ-კა, 37. ქმია, 38. აირტა, 41. ორბელიანი, 42. ფრანკლინი.


შენაწერი გამომცანა (№ № 6, 7 და 8)

თბილისი, ბაქო, ყარაყუმი, სტალინ-გრადი, მოსკოვი, კიევი, სევასტოპოლი, ბათუმი, გორი, თბილისი.

\* \* \*

გასართობი გამოცანები ამოხსნეს შემდეგ-მა პიონერ-მოსწავლეებმა:

ლელია კიკნაძე (გორი), მელიკო შენ-გელიამ (სამტრედი), გური აბრამიძე (ვა-ნი), პ. ჯუჯუაძე (თბილისი), შალვა ამინა-შვილი (თერჯოლი), გურამ ხიზანი-შვილი (თბილისი), ცისანა ტორიშვილი (თბილისი), ელ. ასოლაშვილი (სიღნაღი), მიხეილ ბანდალოვა (თბილისი), ვალერიან შურუაშვილი (ავჯალი), ექუყუნა ჩქარე-ულია (თბილისი), ანზორ ოდიშორაძე (ბა-თუმი), თამარ პაიქაძე (თბილისი), გურია ლეკვაძე (თბილისი), შუქურა ლვალაძე (ვათურა), მამია ნაცვლოშვილი (სოფ. ბაში), ოთარ კოტაშვილი (თბილისი).




ჩ ა ი ნ გ ე რ დ ი

„80 წლისთავი“

1. ბელადის სამშობლო, 2. თაოსნობა, 3. მოკავშირე რესპუბლიკა, 4. XIX საუკუნის დიდი რუსი დიპლომატი, 5. საბჭოთა კავშირის მარშალი, 6. აფანასიევის „ახალგაზრდა გვარდიის“ ერთ-ერთი გმირი, 7. მცენარეული დაფარული ადგილი უდაბნოში, 8. გმირი ქალაქი, 9. საფრენოსო აპარატი, 10. პირველი რუსი მეცნიერი, 11. ცენტრალური კავშირი შიამ, 12. მეცნიერება ფულის ერთეულის შესახებ, 13. სამედიცინო საბჭოთა კავშირის გმირი, 14. სსრ კავშირის ერთ-ერთი დიდი ქალაქი, 15. ერთგვანად საქართველოში, 16. რაიმე მნიშვნელოვანი ამბავთან დაკავშირებით შეგვიხსენებინ გასართობი, 17. სასოფლო-სამეურნეო მანქანა, 18. ახალი ქალაქი საქართველოში, 19. სიმღერა ჩვილი ბავშვისათვის, 20. ლითონი, 21. ქალაქი ციმბირში, 22. ძველი საქალაქო ციხე-სიმაგრე მოსკოვში, 23. ენათმეცნიერი, 24. საქალაქო ტრანსპორტი, 25. მოკავშირე რესპუბლიკა, 26. განსაკუთრებული ნიშანი სამხედრო ან სამოქალაქო დამსახურებისათვის, 27. ყვავილი, 28. თვითმფრინავისათვის დასაშვები ადგილი, 29. პერიოდული სისტემის VII ჯგუფის ელემენტი, 30. რაკეტურენის პირველი შემქმნელი, 31. მდინარე საქართველოში, 32. ქართული პოეტი.

შენიშვნა: ციფრთან დასმული სახეები ნიშანი „მიმე“ გვიჩვენებს, რომ მის წინ მოთავსებულ სიტყვას აკლდება უკანასკნელი ასო.



5.64/31 7/3

# ოქტომბრის ზეიმი თბილისში

